The practice of adapting the classics of world literature into comics is more than seventy years old. In the times of *Classics Illustrated* (esp. 1940s-1970s) the first goal of these adaptations was to make the works of the canon available to school-age children. In the last decades, comics or 'graphic novels' still open up the classics, albeit that the audience of more recent adaptations is not at all limited to children, quite the contrary. What is more, these contemporary adaptations are (often far) more than pure 'condensations', and they frequently draw almost as much attention to the specific 'language' of their medium as to the classics they interpret. Since people nowadays spend lesser time reading (literature), adapted classics, at least in the West, are not only used for anticipating, but also for replacing the reading of the original work.

This contribution focuses on the evolution of comics adaptations of East European literature from *Classics Illustrated* (Dostoevskii, Gogol', Sienkiewicz) until Russ Kick's three-volume *The Graphic Canon: The World's Great Literature as Comics and Visuals* (2012-2013, featuring adaptations of works by Dostoevskii, Tolstoi, Gor'kii, Bulgakov and Kafka). Just like in the original canon, East European, especially non-Russian literature remains underrepresented. A positive tendency, however, is that, thanks to the maturation of the comics medium and its audience, more experimental literature nowadays seems much more 'adaptable' into comics than before.

TEMUR DOIASHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Akaki Tsereteli “Educator” and Educational Paradigm

The poem “Educator”, written at the end of the XIX century (1898) reflects Akaki Tsereteli’s ideological metamorphose from the educational optimism towards scepticism and pessimism.

In the poem is shown the Rusoistic concept (Batu-Nazibrola line) return to the nature and the main idea of education – the utopian idea of education itself as well as the failure (Sapar-beg line), moreover, the Educator suicide metaphor (Haji-usub line) symbolically hints the end of the educational paradigm.

თემურ დოიშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

აკაკის „გამზრდელი“ და განმანათლებლობის პარადიგმა

პოემა „გამზრდელი“, რომელიც XIX საუკუნის მინურულს დაინერა (1898 წ.), აირეკლავს აკაკი წერეთლის მსოფლმხედველობრივ მეტამორფოზას განმანათლებლური ოპტიმიზმიდან სკეპსისისა და პესიმიზმისაკენ.

პოემაში ნაჩვენებია ბუნებასთან მიბრუნების რუსოისტული კონცეფციის (ბათუ-ნაზიბროლას ხაზი) და განმანათლებლობის მთავარი იდეის – აღზრდის იდეის უტოპიურობა და მარცხი (საფარ-ბეგის ხაზი), ხოლო გამზრდელის თვითმკვლელობის მეტაფორა (ჰაჯი-უსუბის ხაზი) სიმბოლურად მიანიშნებს განმანათლებლური პარადიგმის დასასრულზე.

TEA DULARIDZE

Georgia, Tbilisi

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

The Role of Heralds in the Homeric Tradition and in Aeschylus' Tragedies

Homer vividly portrays ambassadorial functions starting with messenger's duties and ending with the supreme diplomatic mission resulting in a model agreement between parties. In the *Odyssey* and *Iliad*, professional heralds (khvrux) have their place in the society and their work is duly appreciated. Heralds maintain complete neutrality in the Homeric epics and are usually mentioned by name: e.g. Medon, Pontonous.

The Homeric ambassadorial system had a remarkable influence on subsequent literature, especially the classical Greek drama. Drama had its own rules for portraying ambassadorial scenes as the limited space did not allow for the presence of the so-called 'wordless' professional heralds. Tragedies mostly feature nameless messengers who do not render others' messages but describe the scene. Therefore, in tragedies heralds' speeches are emotional and convey their own initiative.

The following two points reveal the significance of heraldic duties in four of Aeschylus' seven surviving tragedies: *The Persians*, *Seven Against Thebes*, *The Suppliants* and the trilogy *Oresteia*: 1. Heralds' appearance in the tragedies is not limited to one episode or to conveying one message. 2. Heralds' speeches make up an impressive part of the total text. As concerns the remaining three tragedies, *Prometheus Bound*, *The Libation Bearers* and *The Eumenides*, the context does not allow for an ordinary messenger. One more point that Aeschylus' tragedies share with the Homeric tradition is that ordinary characters may also act as messengers. The difference is that tragedies feature nameless heralds actively involved in the action.

თქა დულარიქა

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შიკრიკის როლი ჰომეროსის ტრადიციასა და ესქილეს ტრაგედიებში

ჰომეროსი საკმაოდ კარგად გვიჩვენებს ელჩობის ფენომენს დაწყებული შიკრიკის ფუნქციიდან ელჩის უმაღლესი მისიით დამთავრებული, როდესაც დიპლომატიურობა შეიძლება მხრეთა შორის შეთანხმების ქეშმარიტ ნიშუშად იქცეს ხოლმე. „ილიადასა“ და „ოდისეაში“ უწყების გადამცემ, ე.წ. პროფესიონალ შიკრიკებს (κίρυξ) საზოგადოებაში თავიანთი განსაზღვრული ადგილი უჭირავთ და მათი საქმიანობა დაფასებულია. ჰომეროსის ეპოსში წარმოჩენილია მათი სრული ნეიტრალურობა და, როგორც წესი, ეს შიკრიკები სახელდებულნი არიან: პენელოპეს შიკრიკი მედონი, პონტონოე და ა.შ.

ჰომეროსის მიერ წარმოდგენილმა ელჩობის სისტემამ უდიდესი გავლენა მოახდინა შემდეგდროინდელ ლიტერატურაზე, განსაკუთრებით კი კლასიკური ეპოქის ბერძნულ დრამაზე. თავიდანვე შეიძლება ითქვას, რომ თეატრმა ელჩობის ფენომენი ასახა თეატრისათვის დამახასიათებელი თავისებურებებით, სადაც მოქმედების სცენური სივრცე საკმაოდ შეზღუდული იყო და სადაც თავის ადგილს ვერ დაიჭერდნენ ე.წ. „უსიტყვო“ პროფესიონალი შიკრიკები. აქ მათ ადგილს იკავებენ მეტნილად უსახელო მაცნეები, რომელნიც გადმოგვცემენ იმას, რაც სცენის მიღმა მოხდა, ან უშუალოდ მოქმედების ადგილას ან მისგან მოშორებით. თუმცა განსხვავებით ჰომეროსის პროფესიონალი შიკრიკებისაგან, მეტნილად, ისინი გვევლინებიან არა ვილაციისაგან დაბარებული ინფორმაციის გადამტანებად, არამედ მომხდარის აღმწერებად. ამიტომ მათ სიტყვებში მეტია ემოციურობა და თვით მაცნის შემოქმედებითი ინიციატივა.

ესქილეს ჩვენამდე მოღწეული 7 ტრაგედიიდან 4 ტრაგედიაში („სპარსელები“, „შვიდნი თებეს წინააღმდეგ“, „მავედრებელი ქალები“, ტრილოგია „ორესტეა“) შიკრიკის საკმაოდ მნიშვნელოვან როლზე მეტყველებს ორი მომენტი: 1) შიკრიკის მონაწილეობა არ იფარგლება ტრაგედიაში ერთი ეპიზოდითა და ერთი უწყების გადაცემით; 2) შიკრიკის პარტიების საერთო მოცულობა დრამის მთელ ტექს-

ტთან მიმართებაში საკმაოდ შთამბეჭდავია. რაც შეეხება დანარჩენ ვ ტრაგედიას – „მიჯაჭვული პრომეთე“, „ქოფორები“, „ვემენიდები“, კონტექსტიდან გამომდინარე იქ არ არის უბრალო შიკრიკის ადგილი. გარდა ამისა, ჰომეროსის ტრადიციასთან აახლოებს ესქილეს ის, რომ მასთან წარმოდგენილი ამბის გადამცემი დრამის ჩვეულებრივი პერსონაჟებიც. განსხვავება კი იმაში მდგომარეობს, რომ ტრაგედიებში გვხვდებიან უსახელო, მაგრამ მოქმედებაში ინტენსიურად ჩართული მაცნეები.

KETEVAN ELASHVILI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Remarks of Cult Figures of Liberalism Era by Akaki

The phenomenon of “creating the idol” from cult figures of liberalism era, - was some kind of tendency in XIX century’s European disposition. Georgia was no exception (Akaki, “My Adventure”), where even habitual “political mystic” was outlined, though, it happened that, in Georgian reality liberal tendencies came in from the most non liberal country of Europe – Russian Empire. Although in XIX century most impulsive blast of the “liberal aspiration” was in Italy and the flame of “national ignition” covered all Europe. One that is familiar with the scopes of Giuseppe Mazzini’s political conceptions would inevitably relate the “Italian phenomenon” to his name at first. Though the revolutionary enthusiasm and notion of individual victory, that had gained general European character, is only associated with the name of Giuseppe Garibaldi.

As for Lijos Kossuth, - he was some kind of “golden balance” among the Italian national leaders. Kossuth had the elements of Mazzini’s exquisite political culture, but even Garibaldi’s spark of fight was not strange for him.

These “historical triad”, presented as cult figures, had assimilated to, most different from its own development, “nonpolitical culture” or “national infantilism”, where historical events were given through myths and poetics and real-life dramas were under “strict moral censorship”.

Nation, cut from its national consciousness (results of 1801 year annexation – K.E.), calmed its “historic pain” only by running from reality and by observing the symbolic portraits of distinguished political figures, was gaining the momentary desire to fight the “historic destiny” again.

ქეთევან ელაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ლიბერალიზმის ეპოქის საკულტო ფიგურათა აკაკისეული რემარკა

ლიბერალიზმის საკულტო ფიგურათა „იდეალად ქცევის“ ფენომენი, – XIX საუკუნის ევროპული მსოფლშეგრძნების ერთგვარ ტენდენციას წარმოადგენდა. გამონაკლისი არც საქართველო იყო (აკაკი, „ჩემი თავგადასავალი“), სადაც თავისებური „პოლიტიკური მისტიკაც“ კი გამოიკვეთა. ისე მოხდა, რომ ქართულ სინამდვილეში ლიბერალური ტენდენციები სწორედ ყველაზე არალიბერალური ევროპული სახელმწიფოდან – რუსეთის იმპერიიდან შემოიჭრა.

არადა, XIX საუკუნის „ლიბერალური სულისკვეთების“ ყველაზე იმპულსური ამოფრქვევა იტალიაში მოხდა და „ეროვნული თვითაღიშნების“ ცეცხლი მოედო მთელ ევროპას. ვინც კი იცნობს ჯუზეპე მაძინის პოლიტიკური კონცეფციების მასშტაბს, უთუოდ – პირველი გაფიქრებით, „იტალიურ ფენომენს“ სწორედ მის სახელს დაუკავშირებს. მაგრამ, ეს რევოლუციური პათოსი და ერთპიროვნული გამარჯვების პათეტიკა, რომელმაც ზოგადევროპული „ხასიათიც კი შეიძინა, მხოლოდ და მხოლოდ, ჯუზეპე გარიბალდის სახელთან ასოცირდება.

რაც შეეხება ლაიომ კოშუტს, – ის ერთგვარი „ოქროს შუალედი“ იყო იტალიის ეროვნულ ლიდერებს შორის; კოშუტი რაღაც „დოზით“ მაძინის დახვეწილი პოლიტიკური კულტურის ელემენტების მატარებელიც იყო, თუმცა მისთვის არც გარიბალდის საბრძოლო პათეტიკის მუხტი იყო უცხო.

საკულტო ფიგურებად ქცეული ეს „ისტორიული ტრიადა“ ერთგვარად შეეთვისა თავისი განვითარების სრულიად განსხვავებულ „აპოლიტიკურ კულტურასა“ თუ „ეროვნულ ინფანტილიზმს“; სადაც ისტორიული პერიპეტიები ზედმეტად მითოპოეტიზირებული იყო, ხოლო ცხოვრებისეული დრამები კი „მკაცრი ზნეობრივი ცენზურის“ ქვეშ მოქცეული.

სახელმწიფოებრივ ცნობიერებას მონყვეტილი ერი (1801 წლის ანექსიის ერთგვარი დამლა – ქ.ე.) რეალობიდან თავის გახიზნით იყურებდა „ისტორიულ ტკივილს“ და მხოლოდღა, – გამორჩეულ პო-

ლიტიკურ ფიგურათა სიმბოლურ პორტრეტთა თვალმიდევნებით, ზოგჯერ „ისტორიულ ბედისწერასთან“ კვლავ შეჭიდების სურვილს უბრუნდებოდა ნამიერ.

MAKA ELBAKIDZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Joseph Roth and Biblical Tradition

In his essay “Tradition and the Individual Talent” published in 1919 Thomas Eliot wrote that contemporaneity differs from the past by the fact that it perceives the past with such evidence and such aspect which is unattainable for this past itself. Proceeding from this, every writer is “traditional” which means that literary creation to a certain extent also implies archeological reconstruction of the past. Probably, for Joseph Roth born in the province of Austria-Hungary at the end of the 19th century, the search for his own cultural roots was extremely difficult. The writer, being at the crossroads of three different cultures (Jewish, Austrian, Russian), faced another challenge. In 1919 the Empire collapsed and Roth as well as thousands of his compatriots had lost his citizenship, national identity and homeland, and turned to be “permanent wanderer”. Future writer who managed with great effort to handle the poverty, receive good education in one of the leading universities of Europe, in 3-4 years he achieved recognition which sometimes requires decades, good attitude of readers and criticism, material welfare, family harmony. In spite of the fact that ambition was alien to this modest and generous man who lavishly shared and demand nothing in exchange, his well-fare as it was in case of biblical Job, abruptly destructed (wife’s severe disease, the shadow of Nazism in Europe, again displacement, again wandering, dependence on alcohol). For him the reality appeared to be tough and merciless, therefore the writer temporarily “forgot” contemporary daily problems and addressed traditional, eternal themes. This time the writer as a ardent Catholic, “returns” to his original roots, the Bible and in association with one of the most tragic “personages” of the Old Testament creates “new Job”, one more personified greatness of faith passed through suffering. This novel is another striking demonstration that the writer needs comfort no lesser than his protagonists; by the action of poetic invention to obtain the inner support which is given to man through myth, utopia, firmness of faith.

მაკა ელბაძიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

იოსებ როთი და ბიბლიური ტრადიცია

„თანამედროვეობა იმით განსხვავდება წარსულისგან, რომ ის აღიქვამს წარსულს ისეთი სიციხადით და ისეთ ასპექტებში, რომელიც თვით ამ წარსულისთვის მიუწვდომელია“, – წერდა თომას ელიოტი 1919 წელს გამოქვეყნებულ ესეში „ტრადიცია და თანამედროვე მწერლობა“. შესაბამისად, ყველა მწერალი „ტრადიციულია“, რაც იმას ნიშნავს, რომ ქმნადობის პროცესი, ლიტერატურული შემოქმედება, გარკვეულწილად, წარსულის არქეოლოგიურ რეკონსტრუქციასაც გულისხმობს. მე-19 საუკუნის მიწურულს ავსტრია-უნგრეთის პერიფერიაზე დაბადებული იოსებ როთისთვის, ალბათ ძალზე ძნელი იყო საკუთარი კულტურული ფესვების ძიება. ეროვნებით ებრაელს რუსული, ე.წ. „კარამაზოვისეული“ ბუნება დაჰყვა (დაბა ბროდი, სადაც მომავალი მწერალი დაიბადა ავსტრია-რუსეთის საზღვარზე მდებარეობდა), რაც გრძნობათა სიღრმესთან ერთად უკიდურესობებისკენ დაუოკებელ სწრაფვასა და თვითგანადგურებასაც გულისხმობს, არტისტულობა და რაინდული კეთილშობილება კი იმ ძველი, დახვეწილი სამყაროსი გამოჰყვა, რომლის სახე-ხატადაც პერიფერიაზე მცხოვრებთ გაბზურების კარი და ღრმად მოხუცი იმპერატორი, ფრანც-იოსები ესახებოდათ. ამ სამი განსხვავებული კულტურის (ებრაული, ავსტრიული, რუსული) „გზაჯვარედინზე“ მყოფ მწერალს ბედმა კიდევ ერთი გზასაყარის პირისპირ დგომა არგუნა წილად. 1919 წელს დაინგრა იმპერია და როთმა, ისევე როგორც ათასობით მისმა თანამემამულემ დაკარგა მოქალაქეობა, ნაციონალური კუთვნილება, სამშობლო და თავისი შორეული წინაპრების მსგავსად „სამუდამო მოხეტიალედ“ იქცა.

ახალგაზრდა როთმა, რომელმაც უდიდესი ნებისყოფის წყალობით შეძლო, გამკლავებოდა სიღატაკეს და ყველა ასპარეზზე (უნივერსიტეტი, ფრონტი, ჟურნალისტიკა) გამოეჩინა თავი, 3-4 წელიწადში მიაღწია იმას, რასაც ზოგჯერ ათწლეულები სჭირდება – აღიარებას, მკითხველისა და კრიტიკის კეთილგანწყობას, მატერიალური კეთილდღეობას, ოჯახური ჰარმონიას. მიუხედავად იმისა, რომ პატივმოყ-

ვარეობა უცხო იყო ამ თავმდაბალი და კეთილშობილი ადამიანისთვის, რომელიც უშურველად გაცემდა და სანაცვლოდ არაფერს ითხოვდა, მისი კეთილდღეობა, ბიბლიური იობისა არ იყოს, ერთი ხელის მოსმით დაინგრა (ცოლის მძიმე ავადმყოფობა, ევროპის თავზე აღმართული ნაციზმის აჩრდილი, ისევ უსამშობლობა, ისევ ხეტიალი, ლოთობის სენი). ანმყო მისთვის სასტიკი და დაუნდობელი აღმოჩნდა, ამიტომ მწერალმა დროებით „დაივიწყა“ თანადროული საჭირობოროტო პრობლემები და „ტრადიციულ“, სამარადისო თემებს მიმართა. მწერალი, ამჯერად როგორც მხურვალე კათოლიკე, „უბრუნდება“ თავის პირვანდელ ფესვებს, ბიბლიას და ძველი აღთქმის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული „პერსონაჟის“ კვალობაზე ქმნის „ახალ იობს“, ტანჯვაში გამოტარებული რწმენის სიდიადის კიდევ ერთ განსახოვნებას. ეს რომანი კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ მწერალს თავის გმირებზე არანაკლებ სჭირდება ნუგეშისცემა, პოეტური გამონაგონის ზემოქმედებით იმ შინაგანი საყრდენის მოპოვება, რომელსაც ადამიანს ანიჭებს მითი, უტოპია, ურყევობის რწმენა.

MARIA FILINA

Georgia, Tbilisi

Iv.Dzhavakhishvili State University

Polish-Georgian literary relationship - from the tradition beginning to modernity

The emergence of multi-dimensional Georgian-Polish literary relationships refers to the first half of the XIX century. Adoption of the wealth of contacts geographically so far located to other countries is generally accepted, however, the phenomenon of emergence and development of the tradition is not studied. Historically pairing creative interests of the Georgian and Polish peoples are dramatic. The most brilliant period of occurrence and development of mutual interest associated with the literary reference to a significant wave of young educated Poles in the 1830th. The tsarist authorities were intended to punish “political criminals”, the result was just the opposite - there was exiled spiritual union and the elite of the Georgian intelligentsia. In a very difficult situation created an entire system of relations - mutual translations,

studying Polish historians and ethnographers Caucasus, particularly Georgia, in the midst of the Caucasian War. In Tbilisi, for two decades was operated a kind of “branch” of Polish romanticism - a group of Polish “Caucasian” poets. Specific individuals rather intensively created body relationships, the intensity of which is unique. During the life of Adam Mickiewicz, in 1838, George Eristavi were translated “Crimean Sonnets”. Mickiewicz presents in the first issue of “Tsiskari”, despite the fact that in a related literature, he began to translate later. One of the first articles in Europe about Rustaveli was written by Polish orientalist Constantine Rduktovski. Despite the double censorship - military and civil works of Polish “Caucasians” about Georgia almost simultaneously with the creation of a leading Polish published almanacs.

Polish exiles expanded presentation of his countrymen of the Caucasus in 1830-1840 years of the Caucasus was no longer just an exotic edge romantic inspiration, and went into the reading interests of the Poles. Later, there were different in intensity periods of mutual translations but it is in the initial period were spontaneously incorporated all further forms of literary contacts.

МАРИЯ ФИЛИНА

Грузия, Тбилиси

Тбилисский государственный университет им. Ив. Джавахишвили

Польско-грузинские литературные взаимосвязи – от возникновения традиции к современности

Возникновение многомерных грузино-польских литературных взаимосвязей относится к первой половине XIX столетия. Утверждение о богатстве контактов географически столь далеко расположенных друг от друга стран является общепринятым, однако феномен возникновения и развития традиции далеко не изучен. История сопряжения творческих интересов грузинского и польского народов драматична. Наиболее яркий период возникновения и развития взаимного интереса литераторов связан с ссылкой значительной волны молодых образованных поляков в 1830-е годы. Царские власти преследовали цель покарать «политических преступников», результат оказался прямо противоположным – возник духовный союз ссыльных и элиты грузинской интеллигенции. В весьма сложной ситуации создавалась целая система связей – взаимные

переводы, изучение польскими историками и этнографами Кавказа, в частности, Грузии в разгар Кавказской войны. В Тбилиси на протяжении двух десятилетий функционировал своего рода «филиал» польского романтизма – группа польских «кавказских» поэтов. Конкретными личностями весьма интенсивно создавался целый организм взаимосвязей, интенсивность которых уникальна. При жизни Адама Мицкевича, в 1838 году, Георгием Эристави были переведены «Крымские сонеты». Мицкевич присутствует в первом же номере журнала «Дискари», при том что в более родственных литературах он начал переводиться позже. Одна из первых европейских статей о Руставели принадлежит перу польского ориенталиста Константина Рдултовского. Несмотря на двойную цензуру – военную и гражданскую произведения польских «кавказцев» о Грузии практически синхронно с их создание публиковались в ведущих польских альманахах.

Ссылные поляки расширили представления своих соотечественников о Кавказе, в 1830-1840-е годы Кавказа перестал быть лишь краем экзотического романтического вдохновения, а вошел в интересы читающего поляка. Позже отмечались различные по интенсивности периоды взаимных переводов, однако именно в начальный период были спонтанно заложены все дальнейшие формы литературных контактов.

ONDRÁŠ FRANTIŠEK

Czech Republic, Prague

Charles University in Prague

The *Maqamas* as Picaresque and Comic stories in Medieval Arabic Literature

Arabic prose literature was very much episodic in the Middle Ages: larger narratives were rare. Especially the anecdotal literature centred on on small textual units. In *al-Hamadhānī's maqamas*[1], the episodic structure is clearly visible. His *maqamas* are independent from each other, the main common denominators are the narrator and the hero, but no story line continues from one *maqama* to the next. As *al-Hamadhānī* derived much of his material from anecdotal literature, he combines different episodes into a complete whole. The

most typical *maqama* is the picaresque and/or comic one. The next group, beggar *maqamas*, might be taken as a specific group within this subgenre and the boundary between a comic story involving some beggar's tricks and a pure piece of beggar lore is especially fluid. Typical of this group is the existence of a very prominent, usually comic, plot; as a narrative, this subgenre is the most developed form of *maqama*. One might also call this group "*narrative maqamas*", as most of the *maqamas* which show complicated forms of narrative belong to this class. Accordingly, the great majority of multiepisodic *maqamas* are picaresque or comic ones.

[1] *Abū 'l-Faḍl Ahmad al-Hamadhānī* (969-1007), surnamed the Wonder of the Age, is an eminent Arabic writer.

JULIETA GABODZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Unknown Publicist Letters of Akaki

One of the main dignity of new academic twenty-volume of Akaki Tsereteli writings is, that many unpublished and rejected materials will be collected. By this publication, it will be possible to print all writings, researched till nowadays.

Akaki was endowed with special talent of polemist and publicist, during many years, periodical press was spoiled with his letters and satirical articles about literature and art, also about the tasks of history religion and culture, public life and economy. The writer regularly shared his views about traditions and modern relations, concerning Georgia's political orientation, relations with neighboring peoples, and problems of so-called Ottoman Georgia or about the relations of Georgian and Armenians, Georgia and Russia. Akaki was dealing with the issues of Georgian ethno psychology and genesis of culture; he was gathering and asking others to collect the models of Georgian folk-lore or old writings. By this aim, he established the literature magazine "Monthly collection of Akaki", where he was publishing the letters about the problematic themes during four years.

In 15-volume of Akaki, four of them was about the publicist letters, but as it is said, the creation of classical writers is un-exhaustive – there are lots

of unpublished and less known writing for public in the archives. Dozens of them were not published in Akaki lifetime, because the writer was strictly criticizing the existed regime and the life of that time of Georgia. Unfortunately, the Soviet conjuncture was so severe, that those letters, which were went away secretly by the king's censorship are still unpublished. The publishers were respected to publish many publicist works, because during the keeping of national interests, Akaki was impregnable as for the representatives of neighbor nations, so for their watchmen (Akaki's dispute with Niko Marr and the letters, written in Paris are implied). We would like to speak about several publicist letters, e.g. "Thoughts in Europe", "About the relations with Russia", "Burning of Imereti during the movement", "Us and Armenians", "Old remains" and etc.

ჯულიეტა ბაზოძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

აკაკის უცნობი პუბლიცისტური წერილები

აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალი აკადემიური ოცტომეულის ერთ-ერთი მთავარი ღირსება ისაა, რომ იგი თავს მოუყრის ბევრ გამოუქვეყნებელ და ცენზურისაგან დაწუნებულ მასალას. ამ გამოცემით შესაძლებელი გახდება დაიბეჭდოს მწერლის დღემდე მიკვლეული ყველა ნაწერი.

აკაკი პოლემისტისა და პუბლიცისტის გამორჩეული ნიჭით იყო დაჯილდოებული, წლების განმავლობაში პერიოდული პრესა გაჯერებული იყო მისი წერილებითა და ფელეტონებით ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, ისტორიის, რელიგიისა და კულტურის, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეკონომიკის საკითხებზე. მწერალი რეგულარულად უზიარებდა მკითხველებს თავის შეხედულებს ტრადიციებისა და თანამედროვეობის კავშირზე; საქართველოს პოლიტიკურ ორიენტაციაზე; მეზობელ ხალხებთან დამოკიდებულებაზე: ე. წ. „ოსმალის საქართველოს“ პრობლემებსა თუ საქართველო-რუსეთისა და სომეხთა და ქართველთა ურთიერთობებზე. აკაკი იკვლევდა ქართული ეთნოფსიქოლოგიისა და კულტურის გენეზისის საკითხებს; აგროვებდა და სხვებსაც მოუწოდებდა, შეეკრიბათ ქართული ზეპირსიტყვიერების

ნიმუშები თუ ძველი ნაწერები. ამ მიზნით დააარსა ლიტერატურული ჟურნალი „აკაკის თვითი კრებული“, რომელშიც ოთხი წლის განმავლობაში აქვეყნებდა წერილებს პრობლემურ თემებზე.

აკაკის თხუთმეტომეულში ოთხი ტომი დაეთმო პუბლიცისტურ წერილებს, მაგრამ როგორც ამბობენ, კლასიკოსების შემოქმედება ამოუწურავიაო – არქივებში კვლავაც „ოთმინებით ელიან“ გამომზეურებას საზოგადოებისათვის ჯერაც უცნობი თუ ნაკლებად ცნობილი ნაწერები. ბევრი მათგანის გამოქვეყნება შეუძლებელი იყო მის სიცოცხლეში, რადგან მწერალი მწვავედ და პირუთვნელად აკრიტიკებდა არსებულ რეჟიმსა და საქართველოს იმდროინდელ ყოფას. სამწუხაროდ, საბჭოთა კონიუნქტურა იმდენად სასტიკი აღმოჩნდა, რომ იმ წერილების გამოქვეყნებაც კი ვეღარ მოხერხდა, რომლებიც მეფის ცნობიერებას კი გაეპარა. ბევრი პუბლიცისტური ნაწერის დაბეჭდვას გამომცემლები მოერიდნენ, ვინაიდან ეროვნული ინტერესების დაცვისას აკაკი ერთნაირად შეუვალი იყო როგორც მეზობელი ერის წარმომადგენლებთან, ასევე მათ დამცველებთან (იგულისხმება აკაკის პოლემიკა ნიკო მართან და პარიზში დაწერილი გამოუქვეყნებელი წერილები). მოხსენებაში ვისაუბრებთ რამდენიმე უცნობი პუბლიცისტური წერილის შესახებ, მაგ: „ფიქრები ევროპაში“, „რუსეთთან ურთიერთობის შესახებ“, „იმერეთის გადანვა მოძრაობის დროს“, „სომხები და ჩვენ“, „ძველი ნაშთები“ და სხვ.

NUGESHA GAGNIDZE

Georgia, Kutaisi

Akaki Tsereteli State University

Literary Tradition and Nino Haratischwili's Novel "My Gentle Twin"

Nino Haratischwili (1983) is a German writing Georgian writer who in her works, on the one hand, continues and develops European literary traditions and, on the other hand, preserves her native, Georgian ones. She has been known to German reader since 1993 as a playwright whose plays were staged in different theatres of Germany. She became a winner of numerous literary awards.

Nino Haratischwili's debut novel *Juja* (2010) was longlisted for the German Book Prize. But It were her next two novels *My Gentle Twin* and *The Eighth*

Life which brought her real success and fame. After *My Gentle Twin* was published the most popular German newspapers and magazines reviews underlined that the author of the novel is an outstanding young writer, “a hero of modern German Literature” and called her book is “a powerful classic epic”.

My Gentle Twin is a psychological novel which tells the story of love and fatal passion of two couples (Stella and Ivo; Salome and Lado). The background of these love stories is the hard years in the modern history of Georgia: the 90s of XX century, Civil War and War in Abkhazia. The life and tragic fate of the main protagonists are determined by certain social-political events.

In German and Georgian literature there are a lot of tragic love stories which take place in difficult social-political situations, for example, Goethe’s *The Sorrows of Young Werther*; Holderlin’s *Hyperion*, Kurban Said’s *Ali and Nino*.

Nino Haratischvili doesn’t follow long-standing European literary traditions and at the same time uses modern literary aesthetic. Georgian phenomena and temper gives the book special charm and inspiration which help German reader to deeply understand Georgia, its soul and culture.

წუგეზა გაბნიძე

საქართველო, ქუთაისი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლიტერატურული ტრადიცია და ნინო ხარატიშვილის რომანი „ჩემი ნაზი ტყუპისცალი“

ნინოს რატიშვილი (1983) გერმანულენოვანი ქართველი მწერალია, რომელიც თავის შემოქმედებაში ერთი მხრივ, დასავლეთევროპული, კერძოდ კი, გერმანული ლიტერატურული ტრადიციების გამგრძელებელია, მეორე მხრივ, ერთგულია ქართული ლიტერატურისა. იგი ცნობილი ავტორია ევროპელი მკითხველისათვის 1998 წლიდან, როცა მისი დრამები გერმანიის სხვადასხვა ქალაქში დაიდგა და რომელთათვისაც მან არაერთი ლიტერატურული პრემია მიიღო.

ნინო ხარატიშვილის დებიუტი, როგორც რომანისტიც, შედგა 2010 წელს, როცა მისი პირველი ნაწარმოები „უუჟა“ გამოქვეყნდა. განსაკუთრებული აღიარება მოუტანა ახალგაზრდა მწერალს შემდგომმა ორმა რომანმა: „ჩემი ნაზი ტყუპისცალი“ (2011) და „მერვე ცხოვრება“ (2014).

რეცენზიებში, რომლებიც ნინო ხარატიშვილის რომანის „ჩემი ნაზი ტყუპისცალი“ გამოქვეყნების შემდეგ გერმანიის ყველაზე პოპულარულ ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ იგი, როგორც მწერალი, განსაკუთრებული მოვლენაა, „ახალი გმირია გერმანულ ლიტერატურაში“, ხოლო მისი რომანი არის „ეპოსი კლასიკური სიმძლავრით“.

„ჩემი ნაზი ტყუპისცალი“ ფსიქოლოგიური რომანია, რომელშიც წარმოდგენილია ორი წყვილის (სტელა და ივო, ლადო და სალომე) სიყვარულის ისტორია, რომლის ფონსაც წარმოადგენს საქართველოს უახლესი ისტორიის უმძიმესი პერიოდი: 90-იანი წლები, სამოქალაქო ომი და აფხაზეთის ამბები. პერსონაჟების ცხოვრებისა და ტრაგიკული ბედის განმსაზღვრელი სოციალ-პოლიტიკური მოვლენებია.

როგორც გერმანულ, ასევე, ქართულ ლიტერატურაში მრავლად არის ნაწარმოებები, რომლებშიც ტრაგიკული სიყვარულის ისტორია მძიმე სოციალ-პოლიტიკური მოვლენების ფონზე ვითარდება: გოეთეს „ვერთერი“, ჰოლდერლინის „ჰიპერიონი“, ყურბან საიდის „ალი და ნინო“ და სხვა მრავალი. ნინო ხარატიშვილი არ ლაღატობს ამ ტრადიციას, მაგრამ მისი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ რომანი „ჩემი ნაზი ტყუპისცალი“ შესანიშნავად გამოხატავს თანადროული დასავლეთევროპული ლიტერატურის მაჯისცემას. მასში განსხეულებულია უახლესი ლიტერატურული ესთეტიკის ძირითადი პრინციპები. ხოლო ქართული ფენომენი და ტემპერამენტი განსაკუთრებულ ხიბლს სძენს ნაწარმოებს, რაც მოულოდნელ სიამოვნებას განაცდევინებს ევროპელ მკითხველს და ეხმარება მას საქართველოს, ქართული ყოფისა და კულტურის უკეთ გაცნობაში.

GIORGI GACHECHILADZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Poetics of Politics

**(Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Vazha-Pshavela,
Galaktioni and Stalin)**

The process of differentiation that turned into historical chaos affected époque of post-Renaissance Baroque. The passed baton of differentiation was accepted by the Age of Enlightenment. The Baroque concept that belongs to Descartes – *cogito ergo sum*, – received its first sociologic evaluation in 1784, from Immanuel Kant, who answered the question “What is the enlightenment?” in the following way: “the enlightenment is an ability to act on one’s own mind, without guidance from outside”. This paradigm settled the beginning for the civilization progress in the 19th century that lasts until nowadays.

In Georgian realms this paradigm originates from the époque of Baroque. And the Georgian culture is an agent of this civilization experiment that has its peculiarity in the fact that experimenters time to time become victims of their own experiment. Lord did not save Georgian from this danger. An ability of thinking on one’s own mind, combined with other virtues, turned into a generator of the ugliest forms of “hard-heartedness” voluntarism (Archil). The latter one is the subject of study for philosophical anthropology.

The 19th century turned both the voluntarism of Baroque and ability of the enlightenment to get out of the control of other’s mind into the problem of national identity and freedom. The words “that time we kept our destiny in our own hands” by Archil and words “our destiny belonged to ourselves” by Ilia Chavchavadze is nothing but sharpening the attention on behavior semiotics in the culture system.

Life and work of Ilia Chavchavadze can be perceived as a whole auto-biography, because his life and work were focused exactly on the problem of behavior semiotics. His works “Poet”, “Letters of a Traveller”, “Is a man a human?”, and “Happy Nation” created an central axis in the Georgian culture of 1860-s. The mission of these works was defined by their orientation on discourse over behavioral stereotypes they described.

Akaki Tsereteli was the first person, who was involved in the discourse, started by Ilia Chavchavadze. Chavchavadze and Tsereteli were precedent persons in

the Georgian culture. It is notable, that Tsereteli responded to Chavchavadze's poem "Poet" only 25 years later. He responded with a poem that had exactly the same name – the "Poet" (1886). While Ilia Chavchavadze saw the way to national identity only in the imperative of the way of Christ, Akaki Tsereteli was an advocate of thinking on one's own mind and creative work, free of external influences. The "Poet" by Akaki Tsereteli put questions on maximalism of the "Poet" by Ilia Chavchavadze. Later Tsereteli might feel something, some danger (maybe not even in his mind, but in his heart), and in 1894 he wrote his masterpiece "In front of an icon" in which he fully exonerated views of the "Poet" by Ilia Chavchavadze. It was not only about the poem in question, but about a new perception of the whole work and life of Ilia Chavchavadze. This settled the discourse of national identity that shaped all the activities of Georgian intellectuals of 1860-s: being born as a human being, does not guarantee dignity, but provides possibility for it; word does not guarantee thinking, but provides possibility for it; birth of a human or a nation does not guarantee them freedom, but provides possibility for it; life does not guarantee dignity, but provides possibility for it. And possibility is always shaped with the certain time and environment.

After Akaki Tsereteli, the discourse on national identity was closed with one strophe of Vazha Pshavela: «Oh, crown of my dignity, my home land!». Then Galaktion will come on scene...

However, one thing happened before that – a thing that was not that notable by itself, but became extremely important for the history of Georgia. 25 of December, 1895, Ilia Chavchavadze published in his newspaper "Iveria" a poetry about Christmas by Soso Jughashvili, a pupil of Tbilisi Theological Seminary. The sixteen years old guy claims the herd that refused to recognize Jesus, a sower of "justice and heavenly love", but "instead of glorifying him (...) gave him a cup, full of poison". In 12 years after writing this poem, Soso Jughashvili became Joseph Stalin, a leader of terrorist gangs of Bolsheviks and Social-Democrats. Later, their member killed Ilia Chavchavadze. All the experts, who have any qualification in this area, point towards Stalin as an organizer of that assassination. Lenin had saw in Stalin an "extraordinary Georgian" who he could use as an instrument to restore an empire, flowing on revolutionary waves, but in the way that "enslaved nations would join the revolution without gaining independence". In turn, Stalin had saw Lenin as an instrument for installing himself as a head of the imperial government. Thus, Stalin had to make a choice between Chavchavadze and Lenin, i.e. between the nation and the empire. And he sacrificed his national identity in favor of the empire.

In this place we have obvious allusions on “Three versions of Judah’s betrayal” by Jorge Louis Borges, but Stalin does not fit Judah’s shapes. In order to perform Judah’s role, Stalin needed such special attributes, as committing a suicide because of being conscience-stricken, or having some kind of inferiority complex. Stalin had none of them. Judah is a part of God’s plan, while Stalin appeared to the world as anti-Christ with all of his life – as “the leader and the teacher of all the proletarians”, as an “emperor” of the Communist Russia, and as a generalissimos of communist forces. Thus, if the paradigm of enlightenment – “an ability to act on one’s own mind, without guidance from outside” – does not long for good, then in the very end it is a road to evil, a road to anti-Christ. This is a correction of the Kant’s “enlightenment” principle, which is added by Stalin’s personality.

Here it comes to mind one line, written by Galaktion Tabidze after communist forces occupied Georgia: “A Man of Nazareth never appeared here, bet-ween us”.

ბიორბი ბაჩიჩილაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

პოლიტიკის პოეტიკა (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი და სტალინი)

ისტორიულ ქაოსში გადაზრდილი დიფერენციაციის პროცესი, რომელშიც პოსტრენესანსული ბაროკოს ეპოქა აღმოჩნდა, ესტაფეტის სახით მიიღო განმანათლებლობის ეპოქამ. დეკარტეს ბაროკოს კონცეპტს: Cogito, ergo sum („ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ“) პირველი სოციოლოგიური კვალიფიკაცია 1784 წელს კანტმა მისცა. კითხვაზე, თუ რა არის „განმანათლებლობა“, მან თქვა: „განმანათლებლობა არის, სხვების კარნახის გარეშე, საკუთარი აზროვნებით მოქმედების უნარი“. ამ პარადიგმიდან ედება სათავე XIX საუკუნიდან დღემდე მომდინარე ცივილიზაციურ პროგრესს.

ეს პარადიგმა ქართულ სინამდვილეში ბაროკოს ეპოქიდან იღებს სათავეს. ქართული კულტურა ამ ცივილიზაციური ექსპერიმენტის სუბიექტია. ექსპერიმენტის თავისებურება იმაშია, რომ ექსპერიმენტატორები ზოგჯერ თავიანთი ექსპერიმენტის მსხვერპლნი ხდებიან.

არსგამრიგემ არც ეს განსაცდელი დააკლო საქართველოს: განსჯის თავისუფლების უნარი. სხვა სიკეთესთან ერთად, „ანგაარ-მოგულ-ძვირეთა“ (არჩილი) ვოლუნტარიზმის ყველაზე მახინჯი ფორმების გენერატორად იქცა. ეს უკანასკნელი ფილოსოფიური ანთროპოლოგიის თემაა.

ბაროკოს ვოლუნტარიზმი და აზროვნების სხვისი კონტროლისაგან გამოსვლის განმანალეზლობაში აპრობირებული უნარი XIX საუკუნემ ეროვნული იდენტობისა და თავისუფლების პრობლემად აქცია. არჩილის „მუნ ჩვენ ხელთ იყო ჩვენობა“ და ილია ჭავჭავაძის „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ – სხვა არაფერია, თუ არა კულტურის სისტემაში ქცევის სემიოტიკურობაზე ყურადღების გამახვილება.

ი. ჭავჭავაძის ცხოვრება და შემოქმედება იმიტომ აღიქმება ერთიან აუტო-ბიო-გრაფიად, რომ მისი ცხოვრება და შემოქმედება სწორედ ქცევის სემიოტიკურობის პრობლემაზეა კონცენტრირებული. ილიას „პოეტი“, „მგზავრის წერილები“, „კაცია-ადამიანი?!“ და „ბედნიერი ერი“ ქმნიან მაორგანიზებელ ლერძს XIX საუკუნის 60-იანი წლების ქართულ კულტურაში. ამ ნაწარმოებთა ამგვარი მისია მათში წარმოსახულმა ქცევის სტერეოტიპზე ორიენტირებულობამ, როგორც დისკურსის თემამ, განაპირობა.

პირველი, ვინც ეროვნული იდენტობის შესახებ ილიას მიერ დაწყებულ დისკურსში ჩაერთო, იყო აკაკი წერეთელი. ილია და აკაკი ქართული კულტურის პრეცედენტული ფიგურებია. სიმპტომატურია, რომ ილიას „პოეტს“ აკაკი წერეთელი 25 წლის დაგვიანებით გამოეხმაურა იმავე სახელწოდების შედეგით „პოეტი“ (1886). თუ ეროვნული იდენტობის გზას ილია ჭავჭავაძე მხოლოდ მაცხოვრის გზის „იმპერატიულობაში“ ხედავდა, აკაკი წერეთელი გავლენის ჩარჩოებისაგან თავისუფალი აზროვნებისა და შემოქმედების მომხრეა. აკაკის „პოეტში“ ილია ჭავჭავაძის „პოეტის“ მაქსიმალიზმი სათუოდა მიჩნეული. მაგრამ შემდგომ, თითქოს არა გონებით, არამედ გულით რაღაც ხიფათი იგრძნო, 1894 წელს აკაკიმ დაწერა შედეგით „ხატის წინ“, რომელშიც რეაბილიტირებულია ილიას „პოეტის“ სულისკვეთება. საქმე ეხებოდა არა მხოლოდ ილიას „პოეტის“ არამედ მთელი მისი შემოქმედებისა და პიროვნული მოღვაწეობის ახლიდან აღმოჩენის შემთხვევას. გამოიკვეთა 60-იანელთა შემოქმედებითი მოღვაწეობის განმსაზღვრელი ეროვნული იდენტობის დისკურსი: ადამიანად დაბადება არის კაცობის არა გარანტია, არამედ – შესაძლებლობა; სიტყვა არის აზროვნების

არა გარანტია, არამედ – შესაძლებლობა; ადამიანის, ერის თავისუფლება არის არა დაბადებით ბოძებული გარანტია, არამედ – შესაძლებლობა; სიცოცხლე არის ღირსების არა გარანტია, არამედ – შესაძლებლობა. შესაძლებლობა ყოველთვის გამოკვეთილია კონკრეტულ დროსა და სივრცეში.

აკაკის შემდეგ ეროვნული იდენტობის შესახებ დისკურსი ვაჟა ფშაველამ ორი სტრიქონით დაასრულა: „ჩემი კაცობის გვირგვინო, ჩემო სამშობლო მხარეო!“ შემდეგ მოვა გალაკტიონი...

მაგრამ მანამდე მოხდა გარეგნულად თითქოს უმნიშვნელო, სინამდვილეში კი მსოფლიო ისტორიის უმნიშვნელოვანესი შემთხვევა. 1895 წლის 25 დეკემბერს ილია ჭავჭავაძემ „ივერიაში“ ქრისტეშობისადმი მიძღვნილი ლექსი დაუბეჭდა თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეს, სოსო ჯულაშვილს. 16 წლის ყმანვილი ამხელს ბრბოს, რომელმაც უარყო „სიმართლისა და ციური სიყვარულის“ მთესველი იესო და „დიდების მაგიერ“ ... „დაუდგა შხამით აღვსილი ფიალა“. ამ ლექსის დაწერიდან 12 წლის შემდეგ სტალინი ბოლშევიკებისა და სოცდემკების შეიარაღებული ტერორისტების მეთაურია. ამ ორგანიზაციის წევრებმა მიკლეს ილია. ამ საქმეში ჩახედული ყველა ექსპერტი ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში სტალინისკენ იშვერს ხელს...

სტალინში, როგორც „არაჩვეულებრივ ქართველში,“ ლენინმა დაინახა ის ინსტრუმენტი, რომლითაც ის რევოლუციების ტალღებზე შეძლებდა იმპერიის შენარჩუნებას ისე, რომ დაპყრობილი ერები მიემხრობოდნენ რევოლუციას და სანაცვლოდ არ მოითხოვდნენ თავისუფლებას. სტალინმა თავის მხრივ, ლენინში დაინახა ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც ის შესძლებდა რუსეთის ხელისუფლების სათავეში მოსვლას. სტალინს უნდა არჩევანი გაეკეთებინა ილია ჭავჭავაძესა და ლენინს შორის ანუ საქართველოსა და რუსეთს შორის. მან აირჩია რუსეთი და საქართველო ზვარაკად მიიტანა რუსეთის იმპერიის სამსხვერპლოზე. აქ აუცილებლობით ჩნდება ბორხესის „იუდას ღალატის სამი ვერსიის“ ასოციაცია, მაგრამ სტალინი არ ეტევა იუდას სიუჟეტში. იუდას როლის შესასრულებლად სტალინს აკლია ისეთი ნიშნობრივი თვისება, როგორიცაა სინდისის ქენჯნის გამო თავის ჩამოხრობა ან თვითშეფასების ნულოვანი დონის კომპლექსი. სტალინს არ გააჩნია არც ერთი, არც მეორე. იუდა ღმერთის ჩანაფიქრის ნაწილია, ის ხელს უწყობს ღმერთის განგების განხორციელებას. სტალინი მთელი თავისი ცხოვრებით, – მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი და

მასწავლებელი, კომუნისტური რუსეთის იმპერატორი, მეორე მსოფლიო ომის გენერალისიმუსი, – ანტიქრისტიედ მოეწვინა მსოფლიოს. ის დაემსგავსა სულხან-საბა ორბელიანის „მაოხრებელ გზირს“, რომელიც სიკვდილის შემდეგაც პრობლემებს უქმნის თავის ქვეყანას. განმანათლებლობის პარადიგმა – „სხვების კარნახის გარეშე, საკუთარი აზროვნებით მოქმედება“, – თუ ის კეთილის ქმედებას არ ესწრაფვის, საბოლოოდ აღმოჩნდა გზად ანტიქრისტიემდე. ეს არის კორექტივი, რომელიც სტალინის ფენომენს შეაქვს „განმანათლებლობის“ კანტისეულ კვალიფიკაციაში.

ამ შემთხვევაში ცნობიერებაში ტივტივდება საქართველოს კომუნისტური ოკუპაციის შემდეგ დაწერილი გალაკტიონის სტრიქონი: „არასდროს ჩვენთან აქ არ ყოფილა ნაზარეველი“.

KETEVAN GARDAPKHADZE

Georgia, Tbilisi

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

The Mythological Image of the Minotaur and Its Interpretation in the 20th Century Art Ketevan Gardapkhadze

The 20th century art (literature and painting) outstands in terms of interpreting the image of the Minotaur, which is mainly explained by polyvalence of the image. Different historical periods converge in the image: matriarchy, commonly associated with the Minotaur's birth and patriarchy, the time of its death from the hands of Theseus (heroes appear in myths after the patriarchal sociopolitical order succeeds matriarchal). The Minotaur has symbolic implications of heaven, sea and the underworld, which reveals the cosmic concept beyond this image: Asterius, the child of the Sun, symbolizes cosmic generalization, the bull of Poseidon implies associations with the sea, while the Minotaur's dwelling links it with the underworld.

Surrealist painters (Picasso, de Chirico, Ernst, Miro, Dali and others) applied the following three theories to the image of the Minotaur: a. The victory of the 'pure' race over the hybrid, which was especially popular in the 1930s; b. The Nietzschean theory; c. The Freudian theory.

In the 20th century literature the Minotaur is not a monster but an ostracized creature doomed to loneliness. Among its interesting interpretations are those by Durrenmatt, Borges and Sulakauri, which, despite their affinity, reveal a markedly individual character. This paper compares the three literary images of the Minotaur by focusing on the form of the respective literary works as well as on their central paradigm: the essence and interpretation of the Minotaur. Special attention is paid to two motifs: the Minotaur's seclusion and death. In the concluding part, the paper sums up the mentioned artists' and writers' contribution to shaping the paradigmatic image of the Minotaur and the implications it conveys in the 20th century philosophical and aesthetic discourse.

ქეთევან ბარდაშხაძე

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მინოტავრის მითოლოგიური სახე და მისი ინტერპრეტაცია XX საუკუნის ხელოვნებაში

XX საუკუნე განსაკუთრებით სანტერესო აღმოჩნდა მინოტავრის სახის გადააზრებისათვის ხელოვნებაში (მხატვრობა, ლიტერატურა), რაც, პირველ რიგში, მინოტავრის მითოლოგიური სახის პოლივალენტურობას უკავშირდება. მინოტავრის მითოლოგიურ სახეში ფოკუსირდება სხვადასხვა ისტორიული ეპოქა. მისი წარმოშობა მატრიარქატის, ხოლო სიკვდილი პატრიარქატის ხანას უკავშირდება (მინოტავრს კლავს თეზევსი (ჰეროიზმი მითში მას შემდეგ ჩნდება, რაც სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში მატრიარქატი პატრიარქატით იცვლება). მინოტავრი განასახიერებს ცის, ზღვის, მიწისქვეშეთის სიმბოლიკას (კოსმიური აზროვნების ნიშნითაა აღბეჭდილი (ასტერეოსი-მზის შვილი – კოსმიური განზოგადება); უკავშირდება ზღვის სტიქიას – პოსეიდონის ხარი; საცხოვრისის გამო იგი მიწისქვეშეთის სიმბოლოა).

სიურეალისტი მხატვრები (პიკასო, ჯორჯო დე კირიკო, მაქს ერნსტი, მირო, სალვადორ დალი და სხვ.) მინოტავრის სახეს სამი თეორიის მიხედვით განმარტავდნენ: 1) წმინდა რასის გამარჯვება ჰიბრიდზე (ეს თეორია განსაკუთრებით პოპულარული იყო 1930-იან წლებში); 2) ნიცშეს თეორია 3) ფროიდის თეორია.

XX საუკუნის ლიტერატურაში მინოტავრი არა ურჩხული, არამედ საზოგადოებისგან გარიყული არსებაა, განწირული მარტოობისათ-

ვის. განსაკუთრებით საყურადღებოა ფ.დურენმატის, ხ.ბორხესის და ა.სულაკაურის ინტერპრეტაციები, რომლებიც ცალკეული ასპექტის მხრივ გარკვეული სიახლოვის მიუხედავად მკვეთრად ინდივიდუალური ხასიათით გამოირჩევა. მოხსენება ამ ავტორებთან მინოტავრის მხატვრული სახის ინტერპრეტაციებს შეისწავლის, განიხილავს მათ შორის არსებულ მსგავსებასა და განსხვავებას თხზულების ფორმის და ნაწარმოების მთავარი პარადიგმის – მინოტავრის არსის და გააზრების – თვალსაზრისით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ამ მწერალთა შემოქმედებაში ორი მნიშვნელოვანი თემის – მინოტავრის იზოლაციისა და სიკვდილის საკითხის დამუშავებას. მოხსენების დასკვნითი ნაწილი შეაჯამებს, ერთი მხრივ, იმ წვლილს, რომელიც ამ მხატვრებმა და მწერლებმა შეიტანეს XX საუკუნის მინოტავრის ე.წ. პარადიგმატული სახის შექმნაში, ხოლო, მეორე მხრივ, იმას, თუ რა დისკურსს გვთავაზობს მინოტავრის სახე XX საუკუნის ფილოსოფიურ-ესთეტიკური პრობლემატიკის კონტექსტში.

MANANA GELASHVILI

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tradition and Innovation in Virginia Woolf's Essays

In the 20s of the XX century modernism brought about new aesthetics which opposed traditional canon. Virginia Woolf (together with T.S. Eliot) was one of those writers who endeavored to introduce and establish new literary forms not only in their creative works but also in their literary essays. Six-volume *Collected Essays* by Virginia Woolf is a good testimony that a well-thought-out innovation should be based on a deep knowledge and understanding of the tradition.

While criticizing Edwardian writers (John Galsworthy, Herbert Wells, Arnold Bennett) as ‘materialists’, Woolf devoted a number of essays to traditional writers such as Jeffrey Chaucer, John Donne, Lawrence Stern, Michel de Montaigne etc. whose literary cannon she viewed as the foundation of English literary tradition.

At the same time Woolf analyses modern literary trends based on the works of her contemporaries James Joyce and T.S.Eliot and is among the first who wrote about the innovations introduced by the modernist literature: stream – of-consciousness technique, absence of linear composition and a new modelling of time and space.

მანანა გელაშვილი

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტრადიციისა და ნოვატორობის გააზრება ვირჯინია ვულფის ესეებში

მეოცე საუკუნის 20-იან წლებში მოდერნიზმმა ახალი ესთეტიკა მოიტანა და მკვეთრად დაუპირისპირდა ტრადიციულ სალიტერატურო ნორმებს. ვირჯინია ვულფი (ტომას ელიოტთან ერთად) ერთ-ერთი იმათაგანია, რომელიც არა მხოლოდ თავისი ნაწარმოებებით, არამედ ესეებითაც ცდილობს მოდერნიზმის პოეტიკის გააზრებასა და დამკვირვებას ინგლისურ ლიტერატურაში. ვულფის ესეები, რომელიც ტომს შეადგენს, საუკეთესო დასტურია იმისა, რომ ნოვატორობის გააზრება აუცილებლად მოითხოვს ტრადიციის კარგ ცოდნასა და შეფასებას.

აკრიტიკებს რა თავის უშუალო წინამორბედებს ედვარდიანელ მწერლებს (ჯონ გოლზუორთი, ჰერბერტ უელსი, არნოლ ბენეტი), როგორც მატერიალისტებს ვულფი ამასთანავე არაერთ ესეს უძღვნის თავის ისეთ წინამორბედებს, როგორცაა ჯეფრი ჩოსერი, ჯონ დონი, ლორენს სტერნი, მიშელ მონტენი და სხვ. ყველა ამ ავტორში ვულფი იმ ღირებულ ტრადიციას ეძიებს, რომელსაც ეფუძნება ინგლისური ლიტერატურა.

ამასთანავე, თანამედროვე ლიტერატურის ნოვატორული ტენდენციების ანალიზისას ვულფი თავისი ისეთი თანამედროვეების შემოქმედებას ეყრნობა, როგორიც ჯეიმზ ჯოსი და ტომას ელიოტია და ერთერთი პირველი განიხილავს მოდერნისტული რომანის ისეთ ინოვაციებს, როგორცაა ცნობიერების ნაკადის ტექნიკა, კომპოზიციის, დროისა და სივრცის ახლებური მოდელირება.

ELENE GOGIASHVILI

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Research of Folk Narrative Tradition in Akaki Tsereteli's
Letters and Method of the Analysis of Awareness in the
Contemporary Study of Folklore**

Scientific study of the plots of oral narrative genres, research of the issue of their spread, borrowing and originality, altogether begin in the Georgian folkloristics with Akaki Tsereteli's publicist letters. In his letter "Oral Narration" published in 1897, Akaki Tsereteli discusses the matter of reception of biblical and antique mythological motifs in the Georgian folklore. In another letter titled "Notice," which was published in 1898, he names several important aspects of the spread of fairy-tale motifs: 1) the influence of the literary and folkloric works of other countries, 2) folk interpretations of the national literature, and 3) processing of the oral materials by a writer. Akaki Tsereteli's opinions concern not only the spread of oral narrations, but also the matters of influence of musical folklore.

A. Tsereteli's definitions for the problem of interrelations of literary and oral plots, for the role of the traditional culture, as well as for its national identity, stand in good proximity with the modern methods of the research of folklore materials.

P. Khalvashi's attitude towards Muslim religion acquires a special significance because of the fact that he comes from the region where some part of the population still remains to be non-Christian. Unlike those who claim that Islam is inconsistent with the national consciousness of a Georgian man, P. Khalvashi strongly believed that religious belief and national consciousness cannot always be identified as synonymous concepts.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

საქართველო, ქუთაისი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეროვნული საკითხის რელიგიური დისკურსი ფრიდონ ხალვაშის შემოქმედებაში

მრავალსაუკუნოვან ისტორიულ ავბედობათა გამო საქართველო არა მარტო კუთვნილ ტერიტორიებს კარგავდა თითქმის პერმანენტულად, არამედ ქართველი ერი სარწმუნოებრივადაც აღმოჩნდა სამ ნაწილად გახლეჩილი – მართლმადიდებლურად, კათოლიკეებად და მუსლიმანებად. განსხვავებით ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევართა უდიდესი ნაწილისგან, რომელთა საქმიანობა საკუთარ სამშობლოსთან იყო და არის დაკავშირებული, ისტორიულ ავბედობათა გამო გამუსლიმანებული და სხვა ქვეყნის მოქალაქედ ქცეული ქართველობა, გარდა ცალკეული გამონაკლისებისა, საკუთრივ საქართველოსთვის თითქმის არაფერს აკეთებდა. ქართულ ეროვნულ წიაღთან მათი დაახლოების პროცესის დაწყებას მკვიდრი საფუძველი ჩვენი ქვეყნისგან იძულებით მოწყვეტილი იმ რეგიონების შემოერთების დროიდან ეყრება, რომლებიც „ოსმალის საქართველოს“ სახელითაა ცნობილი.

ამ გარემოებას ხაზი აქ იმიტომაც გავუსვი, რომ ფრიდონ ხალვაშის (1925-2010) შემოქმედებაში განსაკუთრებული ყურადღების საგნადქცეულ ამ პრობლემასა და ქართველთა ეროვნული იდენტობის არსებითად განმსაზღვრელ ნიშან-თვისებათა წარმოჩენას მწერალი პირველ ყოვლისა სწორედ რელიგიურ კონტექსტში შეეცადა.

სხვა ფაქტორებთან ერთად, მუსლიმან ქართველთა ეროვნულ-სარწმუნოებრივი პრობლემებით ფრიდონ ხალვაშის ესოდენი დაინტერესება მნიშვნელოვანწილად განაპირობა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გააქტიურებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომდროინდელ პერიოდში რელიგიისადმი შეცვლილმა დამოკიდებულებამ. კერძოდ, საბჭოთა ეპოქისაგან განსხვავებით, რელიგიური საკითხი ახალ სახელმწიფოებრივ ვითარებაში უკვე ჩვენი საზოგადოების ეროვნული ცნობიერების არსებითად განმსაზღვრელ მოვლენად იქცა.

ფ. ხალვაში ბევრს ფიქრობდა იმ წინააღმდეგობებზე, რომელთა დაძლევისათვის ისტორიული ავბედობის გამო სარწმუნოებრივად გახ-

ლეჩილი ჩვენი ხალხი ეროვნულ ერთობას აღიდგენდა. ამ პრობლემის მწერლისეულ განსჯას ორი უმთავრესი მიმართულება აქვს შექმნილი – აჭარაში მცხოვრებ ქართველ მუსლიმანთა რელიგიური რწმენის პერსპექტივაზე ფიქრი და თურქეთელ ქართველებთან ეროვნული ერთობის აღსადგენ გზათა ძიება.

მუსლიმანური რელიგიისადმი ფ. ხალვაშის დამოკიდებულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმიტომაც იძენს, რომ მწერალი იმ კუთხის წარმომადგენელი იყო, რომლის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი დღემდე რჩება არა ქრისტიანად. იმათგან განსხვავებით, რომელთა აზრითაც მუსლიმანობა ქართველი კაცის ეროვნულ ცნობიერებასთან შეუთავსებელ მოვლენას წარმოადგენს, ფ. ხალვაში ღრმად იყო დარწმუნებული, რომ რელიგიური რწმენა და ეროვნული ცნობიერება ყოველთვის არ შეიძლება მოაზრებულ იქნას სინონიმურ ცნებებად.

MAIA NINIDZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Concepts Related to the Image of “Woman – Wife” in Akaki Tsereteli’s Fiction

AAkaki Tsereteli’s critical attitude towards his contemporary women, reflected in a number of his literary works, comes to its peak when it refers to a woman as a wife. Psychoanalytical researches state that fiction is closely connected with the individuality of an author, his inspirations and disappointments. Unsuccessful marriage had dramatic influence on not only Akaki Tsereteli’s life, but his fiction too. Maybe this is the reason why such concepts as love, sympathy, support were separated from the image of “wife” in his consciousness. This fact is reflected not only in private letters and periodical articles, but in fiction too. For example, songs included into Akaki Tsereteli’s legend – “Gogia Mechongure” show that Gogia’s mother and sister dream to turn into a bird to find him and be with him even after his death, while his wives’ only thoughts are about trapping one more man into marrying.

It is unusual that love, which is separated from the image of wife, finds its ideal object not in a woman who is remarkable for her modesty, but in the one

whose beauty and scandalous behaviour gives rise to endless rumors and who is still less sinful than all her accusers (“Three kinds of love”).

Attitude of Akaki Tsereteli’s characters towards innocence of wife, differs from traditional views of the epoch. Not only Batu manages to overcome commonly accepted attitude, to realize innocence of his wife (Poem “Gamzrdeli”) and to preserve the best feelings towards her, but the main character of the drama “Love” – Levan, betrayed by his wife with his best friend, also behaves the same way – still loves his wife and forgives her.

In the end of “Bashi-achuki”, readers accustomed to traditional plots, are a bit disappointed with the fact that the protagonist, unlike the couple – Pirimzisa and Abdushahil – is not able to marry his beloved as soon as he comes back from the war (his sweetheart got married before his arrival). The development of the plot, not characteristic to traditional Georgian heroic fiction, should be caused by the author’s individual attitude towards the tradition.

It is also striking that the woman character who symbolizes Georgia in Akaki Tsereteli’s poetry, is not always a captive of the oppressor (Russia), but his bride too (poems “To the Bridegroom”, “The Bride”).

Interesting results are obtained by comparative analysis of the discussed tasks and the folk texts published in Akaki Tsereteli’s journal “Akakis Krebuli”.

მანია ნინიძე

საქართველო, თბილისი

მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„ქალი – ცოლის“ სახესთან დაკავშირებული კონცეპტები აკაკი წერეთლის თხზულებებში

აკაკი წერეთლის კრიტიკული დამოკიდებულება მისი თანამედროვე ქალებისადმი, რაც არაერთ თხზულებაში იკვეთება, კულმინაციას აღწევს, როდესაც საქმე ეხება ქალს, როგორც ცოლს. ფსიქონალიტიკოსთა კვლევებით დასტურდება, რომ შემოქმედება უშუალო კავშირშია ავტორის ინდივიდუალობასთან, მის აღმაფრენებთან და იმედგაცრუებებთან. წარუმატებელმა ქორწინებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია აკაკის არა მხოლოდ ცხოვრებაზე, არამედ შემოქმედებაზეც. შესაძლოა ამითაც იყოს განპირობებული, რომ მის ცნობიერებაში “ცოლის” წარმოსახვით ხატს ჩამოშორდა ისეთი კონცეპტე-

ბი, როგორებიცაა სიყვარული, თანაგრძნობა, თანადგომა. ეს ფაქტი დასტურდება არა მხოლოდ პირად წერილებსა და პუბლიცისტიკაში, არამედ მხატვრულ თხზულებებშიც. მაგალითად, „გოგია მეჩონგურეში“ ჩართული სიმღერების მიხედვით, დედა და და ჩიტად გადაქცევას ნატრობენ, რომ გოგია იპოვონ და სიკვდილის შემდეგაც არ მიატოვონ, „ცოლი“ კი, მხოლოდ იმის ფიქრშია, კიდევ რომელი კაცი გააბას მახეში.

უჩვეულოა, რომ სიყვარული, რომელიც განცალკევდა ცოლის ხატისაგან, იდეალს პოულობს არა გარეგანი კედმამოსილებით შემოსილ მანდილოსანში, არამედ ქალში, რომლის სილამაზე და სითამამე ათასგვარი ჭორის საფუძველი ხდება, მაგრამ რომელიც, რეალურად, ყველა მის ბრალმდებელზე უცოდველია („სამგვარი სიყვარული“).

ეპოქის ტრადიციული შეხედულებებისაგან განსხვავებულია აკაკის პერსონაჟთა დამოკიდებულება ცოლის უბინოებისადმი. არა მხოლოდ ბათუ (პოემა „გამზრდელი“) შესძლებს, რომ ამალდეს უბედურ შემთხვევაზე, საღად შეაფასოს ცოლის უცოდველობა და არ შეებლალოს მისდამი გრძნობა, სიყვარულს არ ჰკარგავს და შემწყნარებელია პიესის „სიყვარული“ მთავარი მოქმედი გმირი ლევანიც, რომელსაც ცოლი უახლოეს მეგობართან ღალატობს.

„ბაშიაჩუკის“ დასასრულს ტრადიციულ სიუჟეტებს შეჩვეულ მკითხველს ალბათ უკვირს, რომ ავტორმა პირიმზისასა და აბდუშაჰილივით მალევე არ გააბედნიერა მოთხრობის მთავარი გმირი წერეთლის ქალთან ქორწინებით და ომიდან დაბრუნებულს სატრფო გათხოვილი დაახვედრა. ეპილოგის ასეთი უჩვეულო გადაწყვეტის საფუძველიც საკითხისადმი ავტორის ინდივიდუალური დამოკიდებულება უნდა იყოს.

ნიშანდობლივია, რომ ქალი, რომელიც სიმბოლურად განასახიერებს საქართველოს, აკაკის არაერთ ლექსში მოძალადის (რუსეთის) საცოლეთა და არა ტყვე („ნაძალადებ საქმროს“, „პატარძალი“).

საინტერესოა განხილული ასპექტების ანალიზი იმ ფოლკლორულ ნიმუშებთან შეპირისპირებით, რომლებიც იბეჭდებოდა „აკაკის კრებულში“.

SEVDA NOVRUZALIEVA

Azerbaijan, Baku

Baku Slavic University

Chekhov and Petrushevskaya: Specific Aspect of Dramatic Art

The question of tradition and innovation - one of the most important aspects of the study of the literary process, shedding light on the literature of the past. Every great writer leaves behind a legacy that is grows on a new basis, in a subsequent period the development of literature with new variations of the solutions of artistic problems and poetic systems. The history of literature gives many examples of this kind of successive link and innovative discoveries literature date with the literature of the past.

This complex continuity with the modern Russian literature and growing on this basis innovations characterize the entire Russian classical literature in its finest specimens. One of the great classics, whose work gave a powerful impetus to the development of all subsequent literature is Anton Chekhov. Petrushevskaya among writers which representing the latest Russian literature and continuing the tradition of Chekhov, increasingly in modern literary criticism.

Maybe one of the prerequisites for such convergence is that both writers were equally attached to his work as a fiction and to drama, and these two faces of their work not only were equally important for these writers, but also and have been associated with each other. They were like interpenetrating, complementary sides of their creativity. They themselves often talked about this, emphasizing the equal importance of these two kinds of creativity: for them the epic and dramatic. However our particular interest is a comparison of their dramatic works, which between two writers there is a clear continuity bond.

СЕВДА НОВРУЗАЛИЕВА

Азербайджан, Баку

Бакинский славянский университет

Чехов и Петрушевская: специфика драматургического творчества

Вопрос о традициях и новаторстве – один из важнейших аспектов изучения литературного процесса, проливающий свет на литературу прошлого. Любой крупный писатель оставляет после себя наследие, которое произрастает на новой почве, в последующие периоды развития литературы новыми вариациями решения художественных проблем и поэтической системы. История литературы даёт множество примеров такого рода преемственных связей и новаторских открытий литературы настоящего времени с литературой прошлого.

Такая сложная преемственная связь с современной русской литературой и произрастающие на этой основе новации характеризуют всю русскую классическую литературу в её лучших образцах. Одним из величайших классиков, чье творчество дало мощнейший импульс для развития всей последующей литературы, является А.П.Чехов. В ряду писателей, представляющих новейшую русскую литературу и продолжающих традиции А.П.Чехова, всё чаще в современном литературоведении и критике называют и Л.С.Петрушевскую.

Может быть, одной из предпосылок для такого сближения является то, что оба писателя в равной степени были привязаны в своём творчестве как к прозе, так и к драматургии, причём эти две ипостаси их творчества не только были в равной степени значимы для этих писателей, но и были связаны друг с другом. Они были как бы взаимопроникающими, взаимодополняющими сторонами их творчества. Они и сами часто говорили об этом, подчёркивая равную значимость для них этих двух видов творчества: эпического и драматического. Но особый интерес представляют собой сопоставления их драматургических произведений, имеющих явную преемственную связь.

OTAR ONIANI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Amirani in Akaki Tsereteli's Creativity

In Akaki Tsereteli's poem "Tornike Eristavi" the character of Amirani is represented as a symbol of the oppressed Georgia. Like Prometheus he was chained to a rock in punishment for stealing fire from the gods. However, according to the folk version it is vice versa. Amirani is punished for an attempt to ascend to a level equal with God, his rebelliousness, for challenging the gods that can be called none other than rebellion against the supreme power (Z.Kiknadze).

In a concrete case for correct understanding of the issue we will dwell on one passage from the poem: "Amirani enchained to a mountain crag, crows were circling above him, his heart was torn". For bringing fire to the mankind, his heart was in fire"... It seems that poet's true intuition felt that Amirani is a true culture hero, bringer of fire to the mankind and founder of many other values in the world. The textual study and research also proved this fact. Thus, for instance, according to the Svan versions (Kaldani, Gurchiani and Guledani) Amirani stole fire from the chthonic powers, brought it to this world and taught people to use it. He freed the earth kingdom from evil forces and returned to people occupied territories. According to the Gurian accounts Amirani taught people how to make artificial fire, store it and use, blacksmiths were taught to forge labor and military weapons and lots of other things. In publicist letters Akaki Tsereteli shows Amirani as a "farsighted" mythical hero like Prometheus. In people's belief "he could see the ants underneath". According to the recently found versions it has been established that Amirani is also a wizard... In the fight with evil powers and in the relationship with men his main weapon is keenness of wit, intellect and clever deeds...

ოთარ მონანი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ამირანი აკაკი წერეთლის შემოქმედებაში

აკაკი წერეთლის პოემაში „თორნიკე ერისთავი“ ამირანი ჩაგრული საქართველოს სიმბოლოდაა წარმოდგენილი. იგი პრომეთეს მსგავსად ზეციდან ცეცხლის მოტანის გამოა კლდეზე მიჯაჭვული. ხალხური ვარიანტების მიხედვით კი პირიქით. ამირანი ისჯება ღმერთთან შეჭიდებისა თუ გატოლების მცდელობისათვის, კადნიერებისათვის, რასაც სხვას ვერაფერს დავარქმევ, თუ არა ჯანყი უზენაესის წინააღმდეგ (ზ. კიკნაძე). კონკრეტულ შემთხვევაში პრობლემის სწორად გააზრებისათვის, ჩვენ გვიინტერესებს პოემიდან ერთი ამონარიდი: „კავკასიის მაღალ ქედზე ამირანი მიჯაჭვული, ყვავ-ყორანი ეხვეოდა, დაფლეთილი ჰქონდა გული“. ქვეყნად ცეცხლის მოტანისთვის, გულს ცეცხლი არ ნელდებოდა“... ჩანს, რომ პოეტის უტყუარმა ინტუიციამ იგრძნო, რომ ამირანი ქეშმარიტი კულტურული გმირია, კაცობრიობისათვის ცეცხლის მომტანი და ბევრ სხვა ფასეულობათა დამფუძნებელი ადამიანთა საცხოვრისში. ტექსტობრივი კვლევა-ძიებაც ამასვე ადასტურებს. ასე მაგალითად, სვანური ვარიანტის მიხედვით (ქალდანისეული, გურჩიანისეული და გულედანისეული) ამირანმა ქვესკნელურ ძალებს წარსტაცა ცეცხლი, ამოიტანა სამზეოზე და ასწავლა ადამიანს მისი გამოყენება. მიწიერი საუფლო გაათავისუფლა ბოროტი ძალებისაგან და ხალხს მიტაცებული ტერიტორიები დაუბრუნა. გურული ჩანანერით კი ამირანმა ადამიანებს ხელოვნური ცეცხლის გაჩენა, შენახვა და გამოყენება ასწავლა, ხოლო მჭედლებს სამუშაო და საბრძოლო იარაღის გამოჭედვა და მრავალი სხვა. პუბლიცისტურ წერილებშიც აკაკი წერეთელს ამირანი პრომეთესებურ „შორს-მჭვრეტელ“ მითოსურ გმირად ჰყავს წარმოჩენილი. ხალხის რწმენით, მას „ცაში არა გამოეპარებოდა რა და ქვესკნელში ჭიანჭველებს ხედავდაო“. ბოლო პერიოდში მოძიებული ვარიანტების მიხედვით დგინდება, რომ ამირანი გულთმისანიცაა... ბოროტ ძალებთან ბრძოლასა და ადამიანებთან ურთიერთობაში მისი უმთავრესი იარაღი ჭკუა, გონიერება და მოხერხებული ქმედებაა...

TAMAR PAICHADZE

Georgia, Tbilisi

Iv. Javakishvili Tbilisi State University

Cultural-Historic Orientation - Inspiration for The Georgian Literature Process

History of literature, along with the diversity of forms of genres, methodology, problematic and artistic approach, is also the history of cultural-historic orientation. The given thesis especially fits the history of Caucasian culture and its most representative part – literature.

Historiographic and oriental researches recognize the clear influence of early Christian philosophy on the Georgian literature processes of the 5th – 9th centuries. Such culturological orientation was the result of influence from the Middle East cultural-historic region. During the next stage (9th – 11th centuries) the area of eastern cultural orientation extended; such influence from eastern cultural traditions continued for quite a long period of time, till the end of the 18th century... This happened when oriental culture was not a cultural dominant and its influence amplitude weakened even over the geographically eastern area.

From the beginning of the 19th century, in Georgian culture appeared the certain oriental cutting and attempt of shifting the cultural field. First “European beam” entered the Georgian literature along with European methodology, meaning the romantic school; although, the given tendency appeared to be quite impulsive and unnoticeable for Georgian cultural cognition.

Europeanization process was in fact resumed from the 1860s, when the new generation of writers appeared, although, despite their work in one epoch, their choice towards nonmaterial values was different: Still, such closing with European values has not become the foundation for introduction of orientation in the context of whole historic memory.

In early 20th century Georgian culture-literature again faced the toughest reality: what appeared was the clear creative crisis, which was expressed by replacement of literature values by pseudo and “cheap” literature. The given process was the result of mental-philosophic clash between Marxist and Nietzschean worldviews.

We must presume that the given crisis became the motivation and challenge for new creative searches, which were conducted by at that time very young,

future Georgian modernists. From this point started the clear and irreversible process of Europeanization; modernist philosophy introduced completely new creative forms in literature. In poetry it was the meditational perception of subjects and events, description of psychological world of a lyrical character, art of symbolic-paradigm perception, understanding of irrational world and realizing the role of a human being in it. In addition to all the aforementioned, in literature appeared a new character – a rebel citizen harshly realizing and analyzing the reality – the so called “new perception” character.

თამარ პაიჭაძე

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კულტურულ-ისტორიული ორიენტაცია – გამოწვევა ლიტერატურული პროცესისათვის

ლიტერატურის ისტორია ჟანრის, მეთოდოლოგიის, პრობლემატიკის და მხატვრული ფორმების მრავალფეროვნებასთან ერთად, კულტურულ-ისტორიული ორიენტაციის ისტორიასაც წარმოადგენს. ეს თეზა განსაკუთრებით მუშაობს კავკასიური კულტურის ისტორიის მაგალითზე. მათ შორისაა ქართული კულტურა და მისი ყველაზე წარმომადგენლობითი ნაწილი-ლიტერატურა.

ისტორიოგრაფიულ და ორიენტალურ კვლევებში აღიარებულია ადრექრიტიანული ფილოსოფიის ცალსახა გავლენა V-IX საუკუნეების ქართულ ლიტერატურულ პროცესზე, ეს კულტუროლოგიური ორიენტაცია ახლო აღმოსავლური კულტურულ-ისტორიული რეგიონის გავლენის შედეგი იყო. შემდგომ ეტაპზე (IX – XI საუკუნეები) აღმოსავლური კულტურული ორიენტაციის რადიუსი უფრო გაფართოვდა. აღმოსავლური კულტურული ტრადიციის ეს გავლენა საკმაოდ დიდხანს, XVIII საუკუნის დასასრულამდე გაგრძელდა. ...და ეს მაშინ, როცა აღმოსავლური კულტურა აღარ იყო კულტურული დომინანტი და გავლენის ამპლიტუდა თვით გეოგრაფიულად აღმოსავლურ გარემოზეც კი შესუსტდა.

XIX საუკუნის დამდეგიდან კი ქართულ კულტურაში შეინიშნება ერთგვარი ორიენტალური ჭრა და კულტურული ველის გადანაცვლების მცდელობა. პირველი „ევროპული სხივი“ ქართულ ლიტერატურა-

ში ევროპულ მეთოდოლოგიას შემოჰყვა, იგულისხმება რომანტიკული სკოლა, თუმცა ეს ტენდენცია ფრიად იმპულსური და უკვალო აღმოჩნდა ქართული კულტურული შემეცნებისათვის.

ევროპეიზაციის პროცესი ფაქტობრივად XIX საუკუნის სამოციანი წლებიდან აღსდგა, როცა მწერლობაში ახალი ლიტერატურული თაობა გამოჩნდა თუმცა ერთ ეპოქაში მოღვაწეობის მიუხედავად, განსხვავებული იყო არჩევანი არამატერიალური ღირებულებებისკენ; მაგრამ ისტორიული მეხსიერებისათვის ევროპულ ფასეულობებთან ამგვარი მიახლება ორიენტაციის დამკვიდრების საფუძვლად ვერ იქცა.

XX საუკუნის დასაწყისში ქართული კულტურა-ლიტერატურა კვლავ დადგა უმძიმესი რეალობის წინაშე: სახეზე იყო აშკარა შემოქმედებითი კრიზისი, რაც მხატვრულ ღირებულებებთან ფსევდო და იაფფასიანი ლიტერატურის ჩანაცვლებით გამოიხატა. ეს პროცესი მარქსისტულ და ნიცშეანურ მსოფლმხედველობათა მენტალურ-ფილოსოფიური შეჯახების შედეგი იყო.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს კრიზისი იქცა ერთგვარ მოტივაციად და გამოწვევად ახალი შემოქმედებითი ძიებებისა, რომელიც იმ დროისათვის სრულიად ახალგაზრდა მომავალმა ქართველმა მოდერნისტებმა განახორციელეს. აქედან იწყება ევროპეიზაციის გამოკვეთილი და შეუქცევადი პროცესი ქართულ კულტურაში, მოდერნისტულმა ფილოსოფიამ ლიტერატურაში ახალი მხატვრული ფორმები დაამკვიდრა. პოეზიაში ეს იყო საგანთა და მოვლენათა მედიტაციური აღქმა, ლირიკული გმირის ფსიქოსამყაროს წარმოჩენა, სიმბოლურ-პარადიგმული აღქმის ხელოვნება, ირაციონალური სამყაროს და მასში ადამიანის როლის გაცნობიერება. ამასთან ერთად, ლიტერატურაში გამოჩნდა ახალი პერსონაჟი მოქალაქე, მემბოხე, არსებული რეალობის მძაფრი აღმქმელი და გამაანალიზებელი – ე.წ. „ახლებური აღქმის“ გმირი.

KIAN PISHKAR
NOOSHIN NASERY

Iran, Jieroft City

Islamic Azad University Jieroft branch jieroft city Kerman

The Effect of Teaching Modern American Drama on EFL Learner's English Speaking Fluency under Varying Time Conditioning

The time conditions in testing of speaking fluency is one of the most influential elements for determining speakers' ability in conveying their intended concepts and meanings, and here validity of its implication has been studied based on diagnostic test. It is based on pausing (means of length of pauses, number of pausing, and filled pauses percentage), speed rate (syllabus presented) and lexical diversity that in different levels of speaking in different students are completely different. Some testing researchers claiming that the time restrictions imposed in the test environment, when compared to the speaking conditions typical at JieroftPayamNour University, I.R. Iran may prevent English language and literature students from displaying the kinds of speaking fluency required in academic contexts. This paper studies the effect of an efficiency driven decision to reduce the time allowed for performance on a diagnostic test of speaking fluency based on Modern American Drama from 35 to 10 min. This research narrows the investigation by examining how a drama-based EFL program impacts three dimensions of oral communication: fluency, comprehensibility, and accentedness, and one anxiety factor - foreign language speaking anxiety (FLSA) -, over time. Speech samples were collected from EFL learners in a treatment and a control. Pre- and post-test analysis indicate that learners in the treatment group made significant gains in oral fluency while oral fluency among learners in the control group remained unchanged. This paper is based on a study on speaking fluency performed by JieroftPayamNour University students of English language and literature using retelling technique. The aim of the study is to find out the effect of retelling of Modern American Drama on the students' speaking fluency and to know the strategies used by those students while retelling a text of Modern American Drama. This study was a true experimental and quantitative and carried out with 25 homogenous JieroftPayamNour University students of English language and literature by using retelling technique in an EFL situation. 40 EFL participants

were chosen from 70 students based on their proficiency scores, and their ages ranged from 19 to 29 and they were studying at intermediate level. The data were the speaking transcripts which were analyzed to see the progress after six-time treatment was given. The result reveals that the speaking fluency of the students increased in some areas as shown by the improvement on their vocabulary.

NINO POPIASHVILI

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

National Literary Canon and Dictatorship (Stalin and Akaki's "Suliko")

Canon of national literature forms the corpus of literary texts. Canon derives from religious, theological, and canonic literature. Politics plays an important role in its formation. Correspondingly, national literary canons constantly alter together with the changes of political regimes. The dictator favored a number of literary and musical works in Nazi Germany or the Third Reich. Those works have become national literary canons of that period; for example, texts of Hanns Johst, Herbert Menzel, Gerhard Schumann, and others.

After the establishment of the soviet regime in Georgia, literature and art were placed under tensed pressure. The themes of obligatory literature have been altered. It is a well-known fact that certain texts were excluded from school programme in the 20-30ies of the 20th century. Stalin participated in this process as a leader of the empire and main ideologist. His subjective mood conditioned the formation of national literary canon.

Akaki's "Suliko" is significant from this standpoint. The history of its creation is less studied ("Suliko" was first published in the newspaper "Kvali". The poem with an autograph is lost. Vazha-Pshavela's "Royal Love" might have served as an inspiration for the poem). At the request of Akaki, Varinka Tsereteli composed music for "Suliko". Both verse and song have become popular shortly afterwards. From the 30ies of the 20th century it became well-known in the whole Soviet Union. It is not exaggeration to say that during and after the World War II "Suliko" became popular even worldwide. It has been translated in many languages, and has been included in a number of anthologies. However, studies have

shown that the verse does not completely meet the main principles of communist ideology. In particular dictatorial subjectivism conditioned the popularity of this verse. It is acknowledged that “Suliko” was Stalin’s favourite song (as it turned out it had its foundations). Therefore, Akaki’s poem became an organic part of soviet national literary canon.

The paper aims at studying the formation of national literary canon against the background of ideological dictatorship on the examples of Georgian and German literatures

წინო პოპიაშვილი

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაციონალური ლიტერატურის კანონი და დიქტატურა (სტალინი და აკაკის „სულიკო“)

ნაციონალური ლიტერატურის კანონი არის ლიტერატურული ტექსტების კორპუსი. კანონი სათავეს იღებს რელიგიური, თეოლოგიური, კანონიკური ლიტერატურიდან, მის ფორმირებაში მონაწილეობს პოლიტიკაც და ამიტომაც, პოლიტიკური რეჟიმების ცვლილებასთან ერთად ხშირად იცვლება ნაციონალური ლიტერატურის კანონიც. დიქტატორის პირადი სიმპატიებით სარგებლობდა მესამე რაიხის ნაციონალური გერმანიაში არაერთი ლიტერატურული თუ მუსიკალური ნაწარმოები, რომლებიც იმ პერიოდის ნაციონალური ლიტერატურის კანონად იქცა. მაგ. ჰანს იოსტის, ჰერუბერტ მენცელის, გერჰარდ შუმანსა და სხვ. ტექსტები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ლიტერატურა და ხელოვნება განსაკუთრებული წნეხის ქვეშ მოექცა. შეიცვალა სავალდებულო ლიტერატურის თემატიკა, ცნობილია, რომ მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში ამოიღეს სასკოლო პროგრამებიდან გარკვეული ტექსტები, ამ პროცესებში მონაწილეობდა სტალინი, როგორც იმპერიის ხელმძღვანელი და მთავარი იდეოლოგი. მისი სუბიექტური განწყობილებები კი განსაზღვრავდა ნაციონალური ლიტერატურული კანონის ფორმირებას.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა აკაკის „სულიკო“. ნაკლებად არის ნაკვლევია მისი შემოქმედებითი ისტორია („სულიკო“ 1895 წელს

გამოქვეყნდა გაზეთ „კვალში“. ლექსის ავტოგრაფი დაკარგულია, შესაძლოა, ლექსის ინსპირაციის წყარო იყო ვაჟა-ფშაველას „სამეფო სიყვარულისა“), აკაკის თხოვნით „სულიკოზე“ ვარინკა წერეთელმა დაწერა სიმღერა, ლექსი და სიმღერა მალევე გახდა პოპულარული, ხოლო მეოცე საუკუნის 30-იანი წლებიდან ეს პოპულარობა გაიზარდა მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ხოლო მეორე მსოფლიო ომის დროს და შემდეგ კი, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მთელი მსოფლიოს მასშტაბითაც, „სულიკო“ თარგმნილია მრავალ ენაზე, შეტანილია მრავალ ანთოლოგიაში. მიუხედავად იმისა, რომ ლექსი სრულიად არ პასუხობს კომუნისტური იდეოლოგიის მთავარ პრინციპებს, როგორც კვლევები ადასტურებს. ამ ლექსის პოპულარობა განაპირობა სწორედ დიქტატორულმა სუბიექტივიზმმა. ცნობილია, რომ „სულიკო“ სტალინის საყვარელი სიმღერა იყო (როგორც ირკვევა, ამას თავისი საფუძველიც ჰქონდა). ამდენად, აკაკის ლექსი საბჭოთა ნაციონალური ლიტერატურის კანონის ორგანული შემადგენელი გახდა.

მოხსენების მიზანია ქართული და გერმანული ლიტერატურების მაგალითზე ვიკვლიოთ ნაციონალური ლიტერატურის კანონის ფორმირება იდეოლოგიური დიქტატურის პირობებში.

MANANA PKHAKADZE

Georgia, Tbilisi

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

“Media” by Akaki Tsereteli

Particular interest in the Legend of Argonauts related to the legendary Colchis and Medea has been observed in Georgia from the Middle Ages: Euthymius the Athonite (X -XI), Ephraim the Small (XI), geographer, historian, Vakhushti Batonishvili (XVIII), Ioane Bagrationi (XIX), Ivane Gvaramadze (XIX) etc.

Unlike the above authors, the first literary processing of the Legend of Argonauts in the Georgian literature belongs to XIX century classicist Akaki Tsereteli. In his poem, the writer united two old Greek legends – about Argonauts and the myth of Prometheus-Amiran and local realias.

Akaki significantly changed the traditional Legend of Argonauts (Jason arrives to ask for Medea's hand, he wins the fight with the help of Medea's broth-

er, Yasir and seizes the Golden Fleece with the help of Orpheus) and especially, the image of Medea (Medea does not kill Absyrtos etc.).

Unlike the legend, the known opposition - Greek/Barbarian and the names of characters of the legend (Media – Medea, Yatha – Aeëtes, Yasir – Absyrtos, Tirta - Circe etc.) are also changed.

But the most significant in this not so remarkable poem from artistic point of view (it is not included in any collection of selected poems) are the thorough understanding of Medea's paradigmatic image similar to Euripides and the depth of scientific research by the great poet which is seen from Akaki's recently published unknown publicist letters (2010) as well as from the comments to this poem.

მანანა ფსაკაძე

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკაკი წერეთლის „მედია“

ლეგენდარულ კოლხეთთან დაკავშირებული არგონავტების თქმულებისა და მედეასადმი განსაკუთრებული ინტერესი საქართველოში შუასაუკუნეებიდან შეიმჩნევა: დიდი სასულიერო მოღვაწე და მთარგმნელი ექვთიმე ათონელი (X-XI), საეკლესიო მოღვაწე, მთარგმნელი, ფილოსოფოსი ეფრემ მცირე (XI), გეოგრაფოსი, ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII), სახელმწიფო მოღვაწე, განმანათლებელ-ენციკლოპედისტი, მწერალი, მეცნიერი, ლექსიკოგრაფი, გამორჩეული მებრძოლი და სარდალი იოანე ბაგრატიონი (XIX), პუბლიცისტი, ეთნოგრაფი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ივანე გვარამაძე (XIX) და სხვ.

განსხვავებით ზემოხსენული ავტორებისაგან არგონავტების თქმულების პირველი ლიტერატურული დამუშავება კი ქართულ ლიტერატურაში XIX ს-ის კლასიკოსს აკაკი წერეთელს ეკუთვნის. თავის პოემაში მწერალმა ორი ძველ ბერძნული თქმულება-არგონავტებისა და პრომეთე-ამირანის მითი („ერთიცა და მეორეც ჩვენი ქვეყნის შვილია: აქ შობილან, გაზრდილან და კოლხეთით ასე გადასულან ზღაპრულ ელლადაში“) და ადგილობრივი რეალიები („მზე შინა“, „ჭყონდიდი“, ძუძუზე კბენა) გააერთინა.

აკაკიმ არგონავტების ტრადიციული თქმულება(იასონი მედეას ხელის სათხოვნელად ჩამოდის, ორთაბრძოლაში გამარჯვებას მედეას

ძმა იასირის, ხოლო მზითვად ოქროს საწმისის მოპოვებას კი ორფეოსის დახმარებით აღწევს) და განსაკუთრებით მედეას სახე (მედეა აფსირტოსს არ კლავს და ა.შ.) მნიშვნელოვნად შეცვალა.

განსხვავებით თქმულებისაგან ასევე შეცვლილია ცნობილი ოპოზიცია ბერძენი/ ბარბაროსი („ განთქმული არის ქვეყნად ბერძნების გაუტანლობა, უმადურობა... სხვა ქვეყნის ერის არად ჩაგდება და თავის ტომით მედიდურობა“) და თქმულების პერსონაჟების (მედიამედეა, იათა-აიეტი, იასირ-აფსირტოსი, თირთა-ცირცე ან კირკე და ა.შ.) სახელები.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ამ მხატვრული თვალსაზრისით არცთუ გამორჩეულ პოემაში (იგი არცერთი რჩული პოემების კრებულში შესული არ არის) მედეას ევრიპიდესეული პარადიგმატული სახის სიღრმისეული გაგება და როგორც ცოტა ხნის წინ გამოცემულ აკაკის უცნობ პუბლიცისტურ წერილებში (2010 წ), ასევე ამ პოემის შენიშვნებში დიდი პოეტის მეცნიერული კვლევის სიღრმე გამოჩნდა.

NANA PHRUIDZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

“The Spinous Thorn” of Akaki’s Publication

It is common, that Akaki was exceptionally smart, eloquent speaker and sharp-tongued man and that personal feature was greatly revealed in his wealthy and diverse literal legacy.

Poet used this “weapon” very effectively with his different artistic means. This utilities and his Satire-Hilarious legacy are more or less fully explored by now. Prof. G. Kiknadze made the very important research of this issue in the past century. He offered brilliant observations trough the research of Akaki’s poems, artistic prose and dramatic writings. But at the same time scholar pointed: “We are satisfied by reviewing the main and essential issues by showing the main line of Akaki’s approach, because our aim isn’t to characterize in detail and comprehensively his huge creativity.”

Certainly G.Kiknadze was not the only one who paid attention to the emergence of satire and humor in Akaki’s creations, but unfortunately his publicist legacy actually isn’t yet studied. It is worth to mention that the material

provided in this writings, by the importance of the featured items and by the ability to impress the reader, is at the same level as Akaki's artistic creations.

The different researches showed that proved satire-hilarious passages from his artistic and publicist writings are carrying not only similarities among them, but very interesting differences as well. As it was expected, such research of Akaki's publication showed us that the satire used by him had its concrete-historical purpose and the tone of writer as always was uncompromising and strictly in line with the issues of public importance. "Akaki Tsereteli addressed all his poetic energy to assess human relationships and their personal features, also all the measures taken by government, from the view of ordinary citizen: ... He rebuked every single blemish by using feuilletons involving poems-sharply entitled as "fractious paper" or "Hot news" (Kiknadze, 1953: 349).

And according to his feuilletons we tried to display both, general and concrete characteristics of the satire-hilarious tendencies typical for publications of Akaki.

ნანა ფრუიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

აკაკის პუბლიცისტიკის „პირწვეტიანი ეკალი“

საყოველთაოდ ცნობილია, რომ აკაკი გამორჩეულად ენამახვილი ადამიანი იყო და მისი ეს პიროვნული თვისება არაჩვეულებრივად მკაფიოდ გამოვლინდა მის მდიდარ და მარვალფეროვან ლიტერატურულ მემკვიდრობაში.

აკაკის სატირულ-იუმორისტული მემკვიდრეობის შინაარსი და ის მხატვრული საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც პოეტი ძალზე ეფექტურად იყენებდა ამ „იარაღს“, მეტ-ნაკლები სისრულით, რასაკვირველია, შესწავლილია. ხსენებული საკითხი საგანგებო კვლევის საგნად ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში აქცია გრ. კიკნაძემ და შესანიშნავი დაკვირვებები შემოგვთავაზა აკაკის ლექსების, მხატვრული პროზისა და დარამატული ნაწერების შესწავლის საფუძველზე. თუმცა მეცნიერმა იქვე მიუთითა: „...ეკმაყოფილდებით მხოლოდ ძირითადი და არსებითი საკითხების განხილვით, აკაკის სატირული მიდგომის მაგისტრალური ხაზის ჩვენებით, რადგან მიზნად არ ვისახავთ აკაკის უზარმაზარი შემოქმედებითი პროდუქციის სრულსა და ამომწურავ დახასიათებას ჩვენი საკითხის თვალსაზრისითაც კი“ (კიკნაძე 1953: 350).

რასაკვირველია, გრიგოლ კიკნაძე ერთადერთი არ იყო, ვინც ყურადღება მიაქცია სატირისა და იუმორის გამოვლენას აკაკის ქმნილებებში, მაგრამ ამ კუთხით დღემდე პრაქტიკულად შეუსწაველია დიდი პოეტის პუბლიცისტური მემკვიდრეობა. არადა საკითხის დაყენების სიმწვავეთა და მკითხველზე შთაბეჭდილების მოხდენის უნარით პუბლიცისტურ წერილებში წარმოდგენილი მასალა არაფრით ჩამოვარდება აკაკისავე მხატვრულ ქმნილებებს.

ტექსტების შესწავლამ გვიჩვენა, რომ მხატვრულ და პუბლიცისტურ ქმნილებებში დადასტურებული სატირულ-იუმორისტულ პასაჟები მსგავსებასთან ერთად საინტერესო გასხვავებასაც ავლენენ. როგორც მოსალოდნელი იყო, აკაკის პუბლიცისტიკის ამ კუთხით გააზრებამ დაგვანახა, რომ მის სატირას ამ შემთხვევაშიც კონკრეტულ-ისტორიული მიზანდასახულება გააჩნია და მწერლის ტონი საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებთან დაკავშირებით, როგორც ყოველთვის, პირუთვნელი და უკომპრომისოა. „აკაკი წერეთელმა მთელი თავისი პოეტური ენერჯია იქითკენ მიმართა, რომ მაშინდელი სახელმწიფოებრივი აპარატის ყოველი ღონისძიება, ადამიანთა ურთიერთობა და მათი პირადი თვისებანი მოქალაქეობრივი თვალსაზრისით შეეფასებინა; ... იგი კიცხავდა ყოველ მანკს და ამ მიზნით ფართოდ იყენებდა ლექსჩართული ფელეტონების ფორმას – მახვილსათაურიანი „ახირებული ფურცლისა“ თუ „ცხელ-ცხელი ამბების“ სახით (კიკნაძე 1953: 349). სწორედ ამ ფელეტონების მაგალითზე შევეცადეთ წარმოგვეჩინა აკაკის პუბლიცისტიკისათვის დამახასიათებელი სატირულ-იუმორისტული ტენდენციების ზოგადი და კონკრეტული მახასიათებლები.

IRMA RATIANI

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

20th Century Georgian Émigré Writing and Traditional Georgian Narrative Issue of Identity

Last year, with the support of FMSH, I had a nice opportunity to visit Paris for one month and to start my long-time scientific project concerning the cultural, mainly literary, heritage of Georgian emigrants in France. The topic of my project was: “The Reception of Georgian Literature and Culture by Georgian Emigrants

in France”. My main interest, as a researcher, was intended for the literary heritage of Georgian emigrants living in France. The goal of my project was to widen the specter of analyzable material connected with Georgian emigration in France using the funds and archives protected in National Library of France and National Archive. I had an excellent opportunity to examine all issues of two basic editions of Georgian emigrants in France - “Kavkasioni” and “Bedi Kartlisa” as well as some other journals and newspapers. The main goal of my research was not the classification of the material, but its theoretical analyze within the frame of Georgian classical narrative, using the methodology of comparative study. The process of the close reading of a big amount of poetical and prosaic texts of Georgian émigré writers has shown that those texts are reflecting thematic and stylistic peculiarities of 19th century Georgian writing. This tendency is so clear that we have to find the answer for a very important question: what is the main reason for this kind of similarity? The preservation of Identity seems to be one of the most crucial aspects of this tendency.

ირმა რატიანი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

XX საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობა და ტრადიციული ქართული ნარატივის იდენტობის საკითხი

2014 წლის ოქტომბერში, საფრანგეთის მეცნიერებათა სახლის მხარდაჭერით, ვიმყოფებოდი პარიზში, რათა საფუძვლიანად გავცნობოდი საფრანგეთის ქართული ემიგრაციის ლიტერატურულ მემკვიდრეობას. ჩემი კვლევის თემა იყო: „ქართული ლიტერატურისა და კულტურის რეცეფცია საფრანგეთის ქართული ემიგრაციის მიერ“. პარიზში ყოფნის პერიოდში, საშუალება მომეცა, მეშეშავა საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის არქივსა და სორბონის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, გავცნობოდი საფრანგეთში გამომავალ ქართულენოვან პერიოდიკასა და პრესას. მუშაობის მიზანი არ იყო მასალის სისტემატიზება, არამედ – თეორიული შესწავლა და ანალიზი ქართულ

კლასიკურ ნარატივთან შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ჟრილში. ცალკეულ ქართველ ემიგრანტთა პოეტურ თუ პროზაულ ტექსტებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მათში ნათლად იკითხება XIX საუკუნის ქართული მწერლობისათვის ნიშანდობლივი თემატიკა და სტილური სპეციფიკა. ქართველ ემიგრანტთა შემოქმედებითი ნათესაობა ტრადიციულ ქართულ ნარატივთან იმდენად ცხადია, რომ შეკითხვა – რას უნდა უკაშირდებოდეს ტრადიციული ნარატივის ესოდენ ხაზგასმული კონსერვაცია? – პასუხის გაცემას მოითხოვს. იდენტობის „არ-დაკარგვის“ მძაფრი სურვილი ამ ტენდენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ასპექტად გვესახება.

ANGELINA SAULE

Russia, Sainkt Petersburg

Saint Petersburg State University

**Poetics of Desire:
the “Shiftology” of Desire in Modernism as
Expressed in the Work of Khlebnikov,
Quabbani and Cummings**

In Modernism, traditional notions of the continuous, the unified, the coherent, are replaced by the interrupted, the plural, and the incoherent: the relationship that exists between words and things, between the speaker and the beloved, is one of a gap, a gap which is where desire gains root.

The paper wishes to provide an illuminating analysis on the similarities between three different forms of Modernism in three national literatures: Russian-speaking, English-speaking, and Arabic-speaking. The formal innovation that desire can generate, as elucidated in the works of Velimir Khlebnikov (Russian-speaking), e.e.cummings (English-speaking), Nizar Quabbani (Arabic-speaking), and others who explore human sexuality in franker terms than their traditions prior to Modernism.

The subjects of such poems were from a wide range of literatures – and to also take into account oral poetry, as Khlebnikov did - were not entirely traditional, and not devoted singularly to a panegyric or amatory form to express desire and give desire a poetic terrain of an unknowable bodily frame.

The cult and the myth of the beloved, the desired one, is a motif that Cummings, Quabbani and Khlebnikov employ from many cultures, in order to explore the complexity, but also the fluidity of such desire: by injecting their experimental verses with these narratives of longing, watching, and touching, this analysis would establish the fact that within Modernism, a new poetics of desire was present.

The sense of otherness and difference that inhabit the desire, which is represented in the desiring subject's skewed relation to language and to the objects themselves (in this case the object being women). The self-reflexive materializes the sign, which is the object of desire, and can be further attributed to the use of language, whereby the new and radical forms utilised to interpret or express desire causes a momentary indistinguishability between otherwise distinct objects.

The poetics of desire opened perceptions into the unknowable continuity of being, death and love. As poetry over time in different cultures can attest to, poetic activity is a kind of desire, whereby the reader is seduced to dissolve into the sonority and sublime strangeness of the poem.

The poetics of desire analyzed is an attempt to summarize the poetic revolution of Modernism, and how it actually helped rescue from neglect and oblivion the tired poetic expressions of desire. The erotic desire to possess and thus, express the other, yet to always elude the other, and to keep desiring, arises from a poetic language and a mythopoeia of metaphor, that goes beyond existing limits of expression. That is to say, that the poetics of desire shifted and inevitably created a new tradition: Modernism

SHORENA SHAMANADZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

European Tradition of Family Saga and (Georgian Experience From Akaki Tsereteli's "My Adventure" to Nino Kharatishvili's "The Eighth Life")

In the modern globalized world, the collapse of the institution of family has acquired great significance alongside the decrease of other values. Intensified migrations provoked by the need to find a work place or other reasons, wars, conflicts, fluctuation in gender balance and tensed lifestyle have gradually

weakened family stability. Family sagas have become very popular in the Western world in relation to this. The series depicting generations of a family through a period of history have been created. In addition, thick books have been written and released.

The Family Saga has an age-old tradition in European literature. There exist theories explaining why the texts are considered as representatives of this genre. As for Georgian experience, this issue is under serious studies. We will strive to demonstrate the evolution of the texts belonging to this genre from Akaki Tsereteli's "My Adventure" to Nino Kharatishvili's recently written novel (2014) "The Eighth Life (for Brilka)" portraying the chronicle of one Georgian family during the 20th century. Within the frameworks of the presentation the emphasis will be placed on the following issues: what are the resources of this genre in order to demonstrate the relationship between an author and tradition, to what extent are the changes of language and environment reflected on author's national identity and how the intercultural model of modern Georgian literature is created, which takes into consideration both native and Diaspora experience.

შორენა შამანაძე

საქართველო, თბილისი

მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

საოჯახო რომანის ევროპული ტრადიცია და ქართული გამოცდილება (აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალიდან“ ნინო ხარატიშვილის „მერვე სიცოცხლემდე“)

თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში სხვა ღირებულებების მოშლასთან ერთად განსაკუთრებით აქტუალური გახდა ოჯახური ინსტიტუტის რღვევა. გაძლიერებული შრომითი თუ სხვა სახის მიგრაციები, ომები, კონფლიქტები, გენდერული ბალანსის რყევა, ცხოვრების დაძაბული რიტმი ნელნელა საფუძველს აცლის ოჯახის სიმყარეს. ამასთან დაკავშირებით დასავლურ სამყაროში უკანასკნელ პერიოდში უაღესად პოპულარული ხდება საოჯახო საგები, იქმნება სერიალები, რომლებშიც აღწერილია ერთი ოჯახის ისტორია რამდენიმე თაობის მანძილზე. ასევე იწერება და სერიოზული პრემიებით აღინიშნება დიდტანიანი ლიტერატურული ტექსტები.

საოჯახო რომანს ევროპულ ლიტერატურაში დიდი ტრადიციები გააჩნია. არსებობს თეორიებიც, რომლებიც განსაზღვრავს ამა თუ იმ ტექსტის ამ ჟანრისადმი მიკუთვნებულობას. რაც შეეხება ქართულ გამოცდილებას, ეს სერიოზული კვლევის საგანია. ამჯერად შევეცდებით წარმოვაჩინოთ, თუ როგორი ევოლუცია განიცადა ამ ჟანრის ტექსტმა, – დაწყებული აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავლიდან“ დამთავრებული გერმანიაში მოღვაწე ქართველი ავტორის ნინო ხარატიშვილის სულ ახლახანს (2014) შექმნილი დიდტანიანი რომანით „მერვე სიცოცხლე (ბრილკასთვის)“, რომელშიც აღწერილია ერთი ქართული ოჯახის ქრონიკა XX საუკუნის მანძილზე. რა რესურსები გააჩნია ამ ჟანრს ავტორისა და ტრადიციის ურთიერთობის წარმოსაჩენად, რამდენად აისახება ენის და გარემოს ცვლილება მწერლის ნაციონალურ იდენტობაზე და როგორ იქმნება თანამედროვე ქართული ლიტერატურის ინტერკულტურული მოდელი, რომელიც თანაბრად ითვალისწინებს სამამულო და დიაპორულ გამოცდილებას – ამ საკითხებზე ვიმსჯელებთ ჩვენს მოხსენებაში.

TAMAR SHARABIDZE

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Satire and Humor in Akaki Tsereteli Poetry

Akaki is a satirist poet. We can say that due to his whole artistic poetry in which criticized the writer's certain aspects of reality, and even minor nuances.

To discuss Akaki's satirical lyrics it is necessary to group the works, as topical as well as satirical and hilarious methods of use.

Thematic division may present the following aspects:

Political satire, which is not much, just a few verses and it is expressed in the allegory; 2) Social satire (the expression of this the poet mainly manages by allusion);

3) Household satire, which in turn can be divided into both public and personal satire. In Public satire consolidating all the flaws, which are generally characterized by the nation, the people, and the public. These Fallaciousness are: False-patriotism, brazenness, duplicity, betrayal, currying favor, career aspiration, principles, etc. here we can separate false-patriotism, which occupies

an important place in Akaki's lyrics and set out the various artistic ways: with Irony, allegory and for Akaki characteristic unvarnished bluntness; Satire about women, which quantitatively predominance of other issues and it expresses a number of means of artistic. Moreover, satire about animals, which is diversity presented in Akaki's work and definitely has allegorical nature. a

Akaki's a satirical and humorous lyrics can be considered as the following artistic means:

1) The method of playing sounds and words. 2) Lexical satire (mostly ridicule expressive sound); 3) Allusion, which is basically express in a transparent easily recognizable allegory.

4) Comparison and epithet caused by comic (The poet uses the in the folk speech prevalent comparison and epithets);

5) The irony and sarcasm; 6) Expressive satire imitating by other authors;

7) "relocated" method. Writer Sets vocabulary and artistic possibilities, which is used by his insurgent (He return his statements).

In addition, Akaki, in general, distinguished tone and witty spurned headlines. Akaki Tsereteli satire object, is neither more nor less, the second half of 19th century life Its specific phenomenon and personalities, that's why Akaki's satire is partly historical and it is great his social importance.

თამარ შარაზიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

სატირა და იუმორი აკაკი წერეთლის პოეზიაში

აკაკი სატირიკოსი პოეტია. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს ის უამრავი ლექსი, რომლებშიც გაკრიტიკებულია მწერლის სინამდვილის ცალკეული მხარეები და წერილმანი ნიუანსებიც კი. აკაკის სატირული ლირიკის განსახილველად აუცილებელია ნაწარმოებთა დაჯგუფება როგორც თემატურად, ასევე სატირული და იუმორისტული ხერხების გამოყენების თვალსაზრისით. თემატური დაყოფა შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი ასპექტებით: 1) **პოლიტიკური სატირა**, რაც არც ისე ბევრია, მხოლოდ რამდენიმე ლექსს მოიცავს და გამოხატულია ალეგორიით; 2) **სოციალური სატირა** (მის გამოხატვას პოეტი ძირითადად

ნართაულით ახერხებს); 3) **საყოფაცხოვრებო სატირა**, რომელიც თავის მხრივ შეიძლება დავყოთ როგორც **საზოგადოებრივ**, ასევე **პიროვნულ** სატირად. საზოგადოებრივ სატირაში ერთიანდება ყველა ის მანკიერება, რომლებიც ზოგადად ახასიათებს ერს, ხალხს, საზოგადოებას. ეს მანკიერებებია: ცრუპატრიოტიზმი, უტიფრობა, ორპირობა, ღალატი, მლიქვნელობა, კარიერისკენ სწრაფვა, ბრიყვობა, უპრინციპობა და ა.შ. აქვე შეიძლება ცალკე გამოვყოთ **ცრუპატრიოზმი**, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აკაკის ლირიკაში და გადმოცემულია სხვადასხვა მხატვრული ხერხით: ირონიით, ალეგორიითა და აკაკისათვის დამახასიათებელი შეულამაზებელი პირობაპირობით; **სატირა ქალებზე**, რომელიც რაოდენობრივად სჭარბობს სხვა თემატიკას და მთელი რიგი მხატვრული საშუალებებითაა გამოხატული; და სატირა ცხოველებზე, რომელიც აკაკის შემოქმედებაში ასევე მრავალფეროვნებით არის წარმოდგენილი და აუცილებლად ალეგორიული ხასიათი აქვს.

